




795 მ 16321



საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. • №2 (2035) 6.04.2009 • ფასი 30 თეთრი



1. ნატოს სამიტზე ბუქარესტში საქართველოს მიღების მომხრეებს ჯორჯ ბუში ლიდერობდა, მოწინააღმდეგეებს - ანგელა მერკელი. ბუშის ხაზს ამ საკითხში, როგორც ჩანს, გააგრძელებს თბამა. არსებითი სიახლე ისაა, რომ, ნატოში საქართველოს ყოფნის პარალელურად, ისახება დასავლეთთან საქართველოს სათავდაცვო კავშირის სხვა გზაც - ორმხრივი თანამშრომლობა საქართველოსა და აშშ-ს შორის (მას, სხვათა შორის, წინასწარმეტყველებდა, როგორც ერთერთ შესაძლებელს, ჩვენი გაზეთი ჯერ კიდევ სამი წლის წინ). დმერთმა ინებოს, რომ ეს გზა ნაყოფიერი და გამარჯვებებით დამშვენებული იყოს!

ჩვენი გაზეთი კიდევ აქვეყნებს საქართველოს ეროვნული კალაზის მიერ მიღებულ დოკუმენტთა სერიას (2008 წლის მარტიდან დღემდე) და 2008 წლის ძარბულ-რუსული ომის შედეგად ცხინვალის რეგიონიდან დავნილ ძარბველთა ორბანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტთა სერიას, რომლებშიც მოცვეულია 2008 წლის აგვისტოს ომის განმარბრობაზელი ფაქტორების ანალიზი და ამის შედეგად ომთან დაკავშირებით წარმოშობილი პოლიტიკური მოვლენების განხილვა. ამ პუბლიკაციას ეთმობა წინამდებარე ნომრის დიდი ნაწილი. პუბლიკაცია გაბრძელდება.

შიდა ქართლის დროებით გბრის მიერ ოკუპირებულ რაიონთა ქართველების კავშირის - საზოგადოებრივი ორბანიზაციის „ლიახვის ხეობა“

მ ი მ ა რ თ ვ ა

ქვეყნებისადმი და სართაშორისო ორბანიზაციებისადმი, რომელნიც დაინტერესებულნი არიან შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში არსებული კონფლიქტის მოგვარების პრობლემით

1922 წლის 20 აპრილს საქართველოს მარბონეტულმა მთავრობამ (კაკ-მა) შექმნა საქართველოს ტერიტორიის ცენტრალურ-ჩრდილოეთ ნაწილში „ოსეთი“ („სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“). მანამდე, ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებელი არსებობის პირობებში (1920), მისი შექმნა დაადგინა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის ბიურომ, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, იმავე წელს, - ამავე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. საქართველოს ნაწილის ამ გარდაქმნას „ოსეთად“ არ ჰქონდა მიცემუ-

ლი არანაირი არც იურიდიული, არც ისტორიული, არც ეკონომიკური, არც მორალური და პუმიანტარული დასაბუთება. ახალ ტერიტორიულ-პოლიტიკურსა და ადმინისტრაციულ ერთეულში მისი შექმნის მომენტში ქართველი მოსახლეობა (დაახლ. 20 ათასი) სჭარბობდა ოსურს (დაახლ. 11 ათასი), ქართული სოფლების რაოდენობა - ოსურისას. ქ. ცხინვალში სულ რამდენიმე ათეული ოსი ცხოვრობდა. მისი შექმნიდან დაიწყო ტერიტორიის ხელოვნური გაოსება ჩრდილოეთიდან (კავკასიონის გადაღმიდან) ოსების მიზანმიმართული იმიგრაციის გზით. 1989 წლის აღწერით ავტონომიურ

ოლქში ცხოვრობდა უკვე 65 ათასი ოსი და 30 ათასი ქართველი. (დანარჩენ საქართველოში ცხოვრობდა კიდევ 100 ათასი ოსი). რევოლუციამდე (1917) რუსული ადმინისტრაცია სიამოვნებით ხმარობდა ზედსართავს ოსეთის (აქ) ჩრდილოეთ-ცენტრალური საქართველოს ყველა იმ ადმინისტრაციული ერთეულის სახელში, რომელშიც კი ოსური მოსახლეობა არსებობდა, თუნდაც ერთი პატარა მთის სოფლის სახით (არა უმეტეს 15-20 კომლისა). უმრავლესობას ოსები მაშინ არც ერთ ასეთ ერთეულში არ შეადგენდნენ. რუსული ადმინისტრაციის სიმპათია ოსებისადმი განპირობებუ-

ლი იყო იმით, რომ ოსები იყვნენ ჩრდილო კავკასიის ერთადერთი ადგილობრივი ხალხი, რომელიც კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების პროცესში (XVIII-XIX სს) რუსებს ემზრობოდა. „სამხრეთ ოსეთს“ საქართველოში დღემდე არც ერთ საათს არ უარსებია იქ რუსეთის რევოლუციური შეიარაღებული ძალების დგომის გარეშე. ოსური მოსახლეობა საქართველოში მთლიანად არის დიასპორა. ჯავის რაიონის სოფლებში იგი შემოსულია XVII სსში, საქართველოზე ირანისა და თურქეთის შემოტევის ყველაზე მძიმე ხანაში - შემოსულია, ძირითადად, მშვიდობიანად, მაგრამ

ზოგჯერ ადგილობრივი მოსახლეობის ულექით. ასე მოხდა, მაგ., სოფელ ჯავასა და სოფელ თიღეში. (იხ. Дж. Гвасалиа Шидა Картли და осетинская проблема. Сб. Осетинский Вопрос, редакторы А. Бакрадзе и Л. Татишвили. Тб. 1994 стр. 80-81.) ოსური მოსახლეობა საქართველოში ძირითადად შემოსულია ბატონყმობის გაუქმების (1864) მომდევნო ორ ათწლეულში ხიზნების სახით და 1922 წლის შემდეგ - ტერიტორიის ხელოვნური გაოსების პროცესში. საქართველოს ოსი მოსახლეობის

პირველი გვერდიდან

ფართო ფენის მისწრაფება ადგილობრივი ქართველების მიწების დაუფლებისაკენ და მათი განდევნისაკენ ფართოდ გამოიყენეს ბოლშევიკებმა, ისევე როგორც მწვავე აგრარული დაპირისპირება ერთის მხრივ ხიზნებს (ანუ უმიწაწყოლო აგრარულ მოსახლეობას) და მეორეს მხრივ თითქმის უკლებლივ საკუთარი მიწის მქონე ადგილობრივ ქართველ გლეხებს (ყმობისაგან 1864 წელს განთავისუფლებულ ბულებს) შორის. ამ დაპირისპირების საფუძველზე ბოლშევიკებმა მოაწვეს სამი აჯანყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ (1918-1919) და ქართველების მასობრივი უღელტა ბოლშევიკური ხელისუფლების პირობებში (1921-1923 წ.წ. იხ. Л. Тоидзе, Образование осетинской автономии в Грузии, Сб. „Осетинский вопрос“, ред. А.Бакрадзе, Л. Татишвили. Тб. 1994. стр. 296 и посл.)

1987-1989 წლებში საბჭოთა კავშირის ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ იქნა „ქართულ-ოსური“ კონფლიქტი ოსური სეპარატიზმის ფორმით. სეპარატიზტული მოთხოვნა იყო ჯერ ავტონომიური ოლქის გარდაქმნა რესპუბლიკად, შემდეგ – საქართველოსგან გამოყოფა და რუსეთთან შეერთება. 1990 წლის 11 XII კანონით, 1921 წლის აქეთ საქართველოს პირველმა დემოკრატიულად არჩეულმა უზენაესმა საკანონმდებლო ორგანომ – საქართველოს უზენაესმა საბჭომ, გააუქმა უკანონო „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“. სსრკ პრეზიდენტმა გორბაჩოვმა თავისი 1991 წლის 3 III ბრძანებულებით ბათილად ცნო საქართველოს უზენაესი საბჭოს ეს კანონი, მაგრამ მას ამის უფლებამოსილება არ ჰქონდა, ვინაიდან საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 III დადგენილებით და მისივე 1990 წლის 29 VI დადგენილებით გაუქმებული იყო სსრკ-ს ხელისუფლების უფლებამოსილება ამ სახით ჩარევისა საქართველოს კანონმდებლობაში და, კერძოდ, მისი სახელმწიფო მოწყობის საკითხთა რეგულირებაში. 1988 წლის დამლევადან გაჩნდა პირველი მსხვერპლი ოსთა სეპარატიზტული მოძრაობის პროცესში: ოსების მიერ ტყვიით მოკლულ იქნა 17 წლის ქართველი ჭაბუკი ვეფხია თუთარაშვილი ს. თამარაშენში. ამის შემდეგ სისტემატურად ირღვევა შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილის, ანუ მდინარეების ქსნის, ლეხურას, დიდი და პატარა ლიანჯის, ფრონეს, ფცისა და ჯეჯორის ზემოწველთა ქართველი მოსახლეობის ძირითადი ადამიანური უფლება – სიცოცხლისა და უსაფრთხოების უფლება. ჯერ რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალების, სახელდობრ, ქ. ცხინვალში დისლოცირებული შვეულმფრენთა პოლკისა და საინჟინრო პოლკის, ხოლო 1992 წლიდან რუსი „მემშვიდობებების“ დაცვის ქვეშ, რუსებისვე მიერ შეიარაღებული და გაწვრთნილი ოსური რაზმების ხელით, მოხდა

და გრძელდება ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის მასობრივი მკვლელობები (განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობათა ჩათვლით: ბ. დათაშვილის გადახერხვა მექანიკური ხერხით, ბუხალაძის ქალის ცოცხლად დაწვა თავის სახლში, რვა ახალგაზრდის ცოცხლად დაწვა ს. ოსფრისთან და მრავალი სხვა), ანუ გენოციდი. ჩატარდა და გრძელდება ქართველთა ეთნიკური წმენდა, რის შედეგადაც განადგურებულ იქნა ყველა ქართული სოფელი ზნაურის რაიონისა და თითქმის მთლიანად ქართველი მოსახლეობა ქ. ცხინვალისა. ის, რომ კონფლიქტი არ იყო ეთნიკური ხასიათისა, არამედ იყო პოლიტიკური, და რომ მისი ორგანიზება გამოწვეული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შეფერხების სურვილით, დადასტურებულია 1991 წელს სამხრეთი (საქართველო, რუსეთის ფედერაცია, სსრკ) საპარლამენტ-შორისო კომისიის მიერ, რომლის დასკვნაში წერია: „Настоящий конфликт препятствует нормальному процессу восстановления государственной независимости Грузии согласно волеизъявлению ее граждан на референдуме 31 Марта 1991 года, связан с попыткой определенных сил нарушить территориальную целостность Грузии и имеет политическую основу.“ (იხ. მისი პროტოკოლი, დამატება №1, 31 III 1991).

კიდევ უფრო დიდი მასშტაბით ჩატარდა ქართველების მასობრივი მკვლელობა ეთნიკური ნიშნით, ანუ გენოციდი, და ეთნიკური წმენდა ა.წ. აგვისტოში. მასში მონაწილეობა მიიღო ჯერ რუსეთის 58-ე არმიის არტილერიამ და რუსეთის ბომბდამშენმა ავიაციამ, შემდეგ – მისივე სხვა ნაწილებმა, ოსურმა შეიარაღებულმა რაზმებმა „ომონის“ ჩათვლით და რუსეთის „მემშვიდობე“ რაზმებმაც კი. ეს უკანასკნელნი უმოქმედოდ იდგნენ თავისი დისლოკაციის ადგილებში მაშინ, როცა საქართველოს შეიარაღებული ძალები ებრძოდნენ 58-ე არმიის ნაწილებს, და ბრძოლაში ჩაებნენ (ქართველებს ცეცხლი გაუხსნეს ზურგში) მხოლოდ მაშინ, როცა ამ უკანასკნელებმა უკან დახვევა დაიწყეს. დღეს არც ერთი ქართული დასახლებული პუნქტი აღარ არსებობს ზნაურის, ჯავისა და ცხინვალის რაიონებში. აგვისტოშივე რუსეთის 58-ე არმიის ნაწილებმა დაიკავეს ახალგორის რაიონი, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქართველია და სადაც არავითარ კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია. დღეს გენოციდი და ეთნიკური წმენდა ქართველების ტარდება, იმავე წესით, ამ რაიონშიც. აღნიშნული ფაქტები მოწმობს, რომ ქართველი მოსახლეობის გენოციდი და ეთნიკური წმენდა გარდუვალია იქ, სადაც არსებობს ოსური სეპარატიზტული ადმინისტრაცია, რომლის ზურგს უკან რუსეთის შეიარაღებული ძალები დგანან.

შენიშვნა: საზგასპით ავღნიშნავთ, რომ ერთადერთი დასავლური ორგანიზაციის შეხედულება, რომელიც დაინტერესდა ცხინვალის

რეგიონის პრობლემებით, არარეალისტურად ოპტიმისტური აღმოჩნდა. სახელდობრ, ეუთოს მისია საქართველოში 1994 წლის 15 აგვისტოს თავის რეკომენდაციებში ასე აყალიბებს (და სწორად აყალიბებს) ქართველების უარყოფით შეხედულებას საქართველოში „ოსეთის“ შექმნასა და არსებობაზე:

Many Georgians will object that South Ossetians are not entitled to such a right of internal self-determination for the following reasons:

- They claim that South Ossetia (Georgians often call it 'Samachablo') lies on historic Georgian territory and therefore is simply a part of the Shida Kartli province. South Ossetia's ethnic composition, they say, was changed by recent Ossetian immigration, favoured by Russian and Soviet rule since the middle of the 19 th centry. They consider North Ossetia to be the real Ossetian motherland.

(„გვერი ქართველი შეგვასუსხება, რომ სამხრეთის ოსებს არ ეკუთვნით ასეთი შინაგანი თვითგანსაზღვრის უფლება შემდეგი მიზეზების გამო: ისინი ამბობენ, რომ სამხრეთ ოსეთი (ისინი მას ხშირად „სამაჩაბლოს“ უწოდებენ“) ისტორიული ქართული ტერიტორიაა და ამიტომ უბრალოდ ნაწილია შიდა ქართლის პროვინციისა. სამხრეთ ოსეთის ეთნიკური შემადგენლობა შეცვალა ბოლო დროს ოსურმა იმიგრაციამ რუსების ხელშეწყობით და საბჭოთა ხელშეწყობით XIX ს-ის შუა წლებიდან. ოსების ნამდვილი სამშობლო „ჩრდილო ოსეთიაო“.

მისიის შეპასუხება ქართველების ამ არგუმენტისადმი შემდეგია:

The first argument, with reference to South Ossetia's historic legitimacy, has little force of persuasion. Georgian historians admit that the Iranian-speaking Alans (whom Georgian sources chose to call „Ovsi“ or „Osi“) began to immigrate from the North Caucasus as early as the 14 th century, although it is true that immigration dramatically intensified in the 19 th and 20 th centuries.

(„პირველი არგუმენტი, რომელიც ეხება სამხრეთ ოსეთის ისტორიულ კანონიერებას, დიდად დამაჯერებელი არაა. ქართველი ისტორიკოსები აღიარებენ, რომ არანაულენოვანმა ალანებმა (ქართველებში მათ ოსებს უწოდებენ) იმიგრაცია დაიწყო XIV საუკუნეში, თუმცა მართალია ის, რომ ამ იმიგრაციის ტემპი მკვეთრად გაიზარდა XIX-XX საუკუნეებში“. (ეს არაა მართალი: XIV საუკუნეში იყო არა ოსების იმიგრაცია, არამედ მხოლოდ შემოტევა მონღოლური ჯარის შემადგენლობაში მტკვრის ამოყოფებით, რომელმაც მას შემდეგ, რაც დამარცხდა გიორგი ბრწყინვალის ხელით, არანაირი დემოგრაფიული შედეგი არ დატოვა).

It is a fact that Ossetians have been living in South Ossetia for generations and have the same right to continue doing so as the Georgian inhabitants. („ფაქტია, რომ ოსები ცხოვრობენ

საქართველოში თაობათა მანძილზე და მათ ისეთივე უფლება აქვთ ამ მომავალშიც იცხოვრონ, როგორც ქართველებს“.

(მისია ამ შემთხვევაშიც უხვევს ჭეშმარიტებისაგან. არც ერთი ქართველი კითხვის ქვეშ არ აყენებს ცხინვალში და მთლიანად საქართველოში ოსების ცხოვრების უფლებას, არამედ მხოლოდ მათ მიერ ტერიტორიის მისაკუთრებისა და მისთვის „ოსეთის“ დარქმევის უფლებას უარყოფს. ესოდენ მიიმე ბრალდებას, რომელსაც მისია აყენებს, სჭირდება დასაბუთება ფაქტით, რომელიც არ არსებობს). Some migration in other parts of Europe happened more recently than that; still, their results are not questioned by anybody in his senses. Georgians must decide whether they want to be a part of this Europe. After 18 months in this country, the Mission has no doubt that the overwhelming majority of Georgians desire nothing else.

(მიგრაცია ევროპის არაერთ რეგიონში უფრო გვიანაც მომხდარა, მაგრამ მის შედეგებს კითხვის ქვეშ არ აყენებს არც ერთი ჭკუათმყოფელი. ქართველებმა უნდა გადაწყვიტონ, უნდათ თუ არა იყონ ამ ევროპის ნაწილი. 18 თვის თავზე, რაც მისია აქაა, ვფიქრობთ, რომ უმრავლესობას უნდა“).

მისია სწორად გადმოსცემს ქართველების წუხილსაც, რომ სეპარატიზტული ადმინისტრაცია სახიფათო იქნება ქართველი მოსახლეობისთვის.

„The Mission takes very seriously the necessity to protect the rights of all minorities. It is true that the GEORGIAN population in South Ossetia constitutes a minority within a minority'. Any status will have to safeguard their rights. South Ossetia's commitment to the rule of law and democracy will be judged according to how it will protect the rights of all its inhabitants regardless of ethnicity“.

(„მისია ძალიან სერიოზულად ეკიდება უმცირესობის უფლებათა დაცვის აუცილებლობას. მართალია, რომ ქართველი მოსახლეობა სამხრეთ ოსეთისა არის უმცირესობა უმცირესობაში. ნებისმიერ სტატუსს ამოცანა ექნება, რომ მათი უფლება დაიცავს. იმაზე, თუ რამდენად ერთგულია სამხრეთ ოსეთი კანონიერებისა და დემოკრატიის, ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, თუ როგორ დაიცავს იგი ყველა მაცხოვრებლის უფლებებს მათი ეთნიკურობის განურჩევლად“).

მისიის ამ არგუმენტის ოპტიმიზმი დღეს საესებით გაბათილებულია ოსების მიერ ქართველების მიმდინარე გენოციდის ფაქტით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეთოდურად გაუმართავია და ფაქტებთან შეუსაბამოა მისიის შემდეგი შენიშვნაც:

On a collective level, the armed conflict had a different significance for Georgians and Ossetians. Among the Georgian participants to the conflict, too many felt the time had come to change the demographic structure of South Ossetia and 'correct' history. The shelling of Tskhinvali was most

brutal consequence of conflict, aiming at the expulsion and annihilation of Ossetians. Many representatives in Tbilisi, even among those showing readiness for compromise, underestimate the traumatic effect of the siege of Tskhinvali on the Ossetian conscience. For a number of months, the Ossetians in and around Tskhinvali were faced with an imminent threat to their existence. Therefore, the Georgian side will have to take convincing action in order to persuade the Ossetians that they have a future in Georgia.

(„კოლექტიურ დონეზე შეიარაღებულ კონფლიქტს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისა და ოსებისათვის. ქართველ მონაწილეთაგან მეტისმეტად მრავალნი გრძობდნენ, დრო მოვიდა სამხრეთ ოსეთის დემოგრაფიული სტრუქტურა შეცვალათ და ისტორია „შეასწოროთო“-ო. ცხინვალის საარტილერიო დაბომბვა უაღრესად უწყალო შედეგი იყო ოსთა განდევნასა და მოსაობაზე მიმართული პოლიტიკისა. მრავალი წარმომადგენელი თბილისში, მათ შორის ისეთნიც, რომელნიც კომპრომისისათვის მზად ჩანან, ჯერონდა ვერ აფასებენ ცხინვალის ალყის ტრავმატულ ზემოქმედებას ოსთა ცნობიერებაზე. თვეების მანძილზე ცხინვალში და ცხინვალს ვარეთ მყოფ ოსთა არსებობაც კი უშუალო საფრთხის წინაშე იდგა. ამიტომ ქართველ მხარეს მოუხდება დამაჯერებელი ნაბიჯების გადადგმა, რათა ოსები დაარწმუნონ, რომ მათ საქართველოში მომავალი აქვთ“)

ის, რომ ქ. ცხინვალში არასოდეს ყოფილა „აღყაში“, საყოველთაოდ ცნობილია ადგილზე (გზა წუნარისკენ, („ხეთავუროვ“), ჯავისკენ და გვირაბისკენ არც ერთი წამით არ გადაკეტილა და მისი გადაკეტვა აზრად არავის მოსულია). ასევე ცნობილია, რომ ცხინვალი 1992 წელს დაიბომბა მხოლოდ ფუჭი ჭურვებით („ბოლვანკებით“) და დაიბომბა არა ქართველების მიერ, არამედ რუსული ნაწილის „Летучая мышь“ მიერ, რომელიც სიძულაცას ეწოდა, ვითომ ამა თუ იმ მხარეზე ბრძოლისათვის მზადაა ფულის ალების მიზნით, მაგრამ სინამდვილეში ბრძანებას ასრულებდა. ისტორიის „შესწორების“ და დემოგრაფიული სურათის შეცვლის აზრიც არც ერთ ქართველს არ გამოუთქვამს. (კინ გამოთქვა და როდის, მისია ვერ ასახელებს).

ამ ფაქტიდან კიდევ ერთხელ ჩანს, როგორი მცდარია ეუთოს საქართველოს მისიის რეკომენდაციები (1994) საქართველოსადმი, რომ ცხინვალის რეგიონში „ოსეთი“ შექმნას და მას რესპუბლიკის სტატუსი მისცეს.

გენოციდსა და ეთნიკურ წმენდასთან ერთად 1992 წლიდან იურიდიულად დარღვეულია ხსენებული ტერიტორიის ავტონომიური ქართველი მოსახლეობის ეროვნული უფლებაც: მიწაწყოლზე, რომელიც მისი სამშობლოს ნაწილია და რომელზეც იგი ავტონომიურია, იგი



საქართველოს ეროვნული პარტიების აღიანსისაგან

მიჯანა, რომ დადგა დრო, რათა საქართველოს პატრიოტული სულისკვეთების ადამიანებსა და მათ-მა ორგანიზაციებმა შეაერთონ თავი-სი ძალისხმევა ქვეყნისა და სახ-ელმწიფოს გადასარჩენად. ეროვნულ სულისკვეთებაში ჩვენ ვგულისხ-მობთ იმის შეგნებას, რომ დღევან-დელი საქართველო, მისი მდგო-მარობა და მოქმედება ან უმოქმე-დობა არის არა მხოლოდ ერთი პატარა ნაწილი მსოფლიოს პოლი-ტიკური, ეკონომიკური და გეო-სტრატეგიული სისტემისა, არამედ, ამავე დროს, საქართველოს ისტორი-ის ერთი საფეხურიც, როცა უნდა გადაწყვედეს მისი სამომავლო ბედი. ჩვენ, საქართველოს ეროვნულ პარ-ტიათა აღიანსი, ვიბრძვით და ვშ-რობობთ იმისთვის, რომ საქართველოსა და ქართველი ხალხის ზვედრი იყოს სახელო-ვანი და ღირსეული სიცოცხლე დღეს და უსასრულო მომავალში, და არა სამარცხვინო სიკვდილი საკუთარი სისუსტის გამო, სახ-ელდობრ, გონების, სიმტკიცის, ზნე-ბრივი სიმყარისა და მომავლის წინაშე პასუხისმგებლობის უკმარი-სობის გამო. საბუნებრივად, საქრთვე-ლოს ეროვნული გადარჩენის ინ-ტერესი და სამართლიანობის ზოგადადამიანური ინტერესი დღეს და განჭვრეტად მომავალში ერ-თიმორებს ემთხვევა: საქართველოს მოქალაქე დღეს ჭეშმარიტი დემოკ-რატი ვერ იქნება, თუ პატრიოტი არ არის, და პირუკუ, მოქმედი პა-ტრიოტი ვერ იქნება, თუ არ იბრძ-ვის თავის და თავისი მოქალაქეე-ბის პირადი თავისუფლებისათვის, კანონიერებისათვის და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული ადამი-ანური უფლებების დაცვისათვის. ამიტომ ჩვენ ვიბრძვით და ვშრო-მობთ საქართველოს საგარეო სა-სიცოცხლო ინტერესების დასაცა-

ვდაც, ერთის მხრივ, და ჩვენს ქვე-ანაში დემოკრატიის მოსაოვებლად და დასაცავად, მეორეს მხრივ. წინამდებარე დოკუმენტში ძალიან მოკლედ ვაყალიბებთ ჩვე-ნი სამოქმედო გეგმის მთავარ პუნ-ქტებს, რათა საზოგადოებას მივანიშ-ნოთ ჩვენი აზრისა და სამომავლო მოღვაწეობის მიმართულება. კონკრეტული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების ჩვენეულ ხედვას მას მივაწოდებთ თანდა-თან. საზოგადოების დაინტერესებულ ნაწილს ვიწვევთ მონაწილეობი-სათვის როგორც ჩვენ გეგმათა გააზრებაში, ისე მათს განხორ-ციელებაში. ამავერად საზოგადოებას ვაც-ნობებთ ჩვენს პოზიციას – მთავარ საშიშროებებზე, რომ-ლებიც საქართველოს ემუქრება, – მთავარ ნაბიჯებზე, რომლებიც საქართველომ უნდა გადადგას და რომელსაც გადადგამს ჩვენი სულისკვეთების მქონე ხელისუფლე-ბა, – საქართველოს სახელმწიფო-ბრივი მშენებლობის პრინციპებზე, – დღევანდელი ხელისუფლებ-ის ერთგული და კვალიფიციური ხელისუფლებით შეცვლის გზებზე

საქართველოს ეროვნულ პარტიათა აღიანსის სამოქმედო გეგმა (მოკლე კონსპექტი)

I. საქართველოს დღეს ემუ-ქრება შემდეგი მთავარი სასი-ცოცხლო საშიშროებები: 1. რუსეთი აწარმოებს აგრესი-ულ შეტევით ომს საქართველოს წინააღმდეგ. ტერიტორიის ერთი მეხუთედი დაპყრობილია; მოს-ალოდნელია შემოტევა დანარჩენ ტერიტორიაზეც; მოსალოდნელია ვარი დროიდან, გადაქციეს უცხო სახელის მატარებელი ტერი-ტორიის მაცხოვრებლად, ხოლო ა.წ. აგვისტოში რუსების და რუსულ ტანკებს ამოფარებული ოსების მიერ საკუთარი სახ-ლებიდან გამოძევებულ ლტოლვილებად. აღწერილ მდგომარეობას ჩვენ არ ვურიგდებით და არც შე-ვურიგდებთ. დღეს ჩვენი მოთხ-ოვნაა: მოვევით საშუალება მონაწი-ლეობა მივიღოთ ყველა საერ-თაშორისო მოლაპარაკებებზე, რომ-ლებიც შეეხება ჩვენს მიწაწყ-ალზე მშვიდობის დამყარების, დეენილთა დაბრუნების, ტერი-ტორიის აღორძინების, მისი ად-მინტრაციული და პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის საკითხ-ებს. ცხინვალის რეგიონის ქართვე-ლი მოსახლეობის სახელით და კავშირის „ლიანხის სმობა“ გამ-გვიბის სახელით ვიქტორ ლათავილი ალექსანდრე პარპლავილი

საქართველოს სუვერენიტეტის ხე-ლყოფის მცდელობა რუსეთის მიერ. 2. რუსეთის მხრიდან საქართვე-ლოს ემუქრება, როგორც მის მიერ საქართველოს მთლიანი დაპყრო-ბის და მისი სუვერენიტეტის ხე-ლყოფის ალტერნატივა (პროგრა-მა მინიმუმი), იმის მცდელობა, რომ აფხაზეთისაგან, „სამხრეთ ოსეთის-აგან“ და საქართველოსაგან შექმ-ნას „კონფედერაცია“, ანუ უპრობ-ლემოდ დაშლადი სახელმწიფო, და მის სამხედრო გარანტიად დადგეს. 3. საქართველოს ემუქრება ტერიტორიის ერთი ნაწილისათვის უსაფუძვლოდ „ოსეთის“ დაჩქევა, ანუ მისი ტერიტორიის ერთი ნაწი-ლის აღიარება მეზობელი ქვეყნის ისტორიული ტერიტორიის სამხრეთ ნაწილად და კაცობრიო-ბის წინაშე ორი „ოსეთის“ – ერთი ნამდვილისა და მეორე ყალბის – „გაერთიანების“ ამოცანის დაყენე-ბა. 4. საქართველოს ემუქრება მისი სახელმწიფოებრიობისადმი გულ-გრძობი ასიათასობით ადამიანის შე-მოსახლება 1944 წელს საქართველოდან სსრკ-ს მიერ დე-პორტირებული ოჯახების შთამო-მავალთა ყალბად და მიზანმიმა-რთულად გაზრდილი კონტიგენ-ტის სახით. საქართველოსთვის დღეს და მუდმივად მოქმედი მთავარი სა-შიშროებებია: 5. საქართველოს ემუქრება დემოგრაფიული კატასტროფა მზარდი მატერიალური გაჭირვებ-ის, მასობრივი ემიგრაციის და შეუზღულავი იმიგრაციის შედეგად. 6. საქართველოს ემუქრება (რუსეთის დია და უჩინარი ზე-წოლით) მთლიანი ფედერალიზა-ცია (ისტორიულ პროვინციებად დაყოფა), რაც ორ-სამ თაობაში გამო-იწვევს არა მხოლოდ ქართველი ერის დანაწევრებას, არამედ ეროვნუ-ლი ცნობიერების დანაწევრებასაც კუთხური პრინციპით. 7. საქართველოს ემუქრება (და მიმდინარეობს) მიზანმიმართუ-ლი ეკონომიკური ნგრევა, ერის ფიზიკური და ეკონომიკური გენო-ციდი, მორალური, ფსიქიკური და სულიერი დეგრადაცია. II. შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოს მიერ გადასადგმე-ლი უპირველესი ამოცანები და შესაბამისი ნაბიჯებია: 1. ტერიტორიული მთლიანო-ბის აღდგენა ანუ რუსეთთან თავ-დაცვითი ომის მოგება, საქართველოს მთელი ტერი-ტორიიდან რუსეთის შეიარაღებუ-ლი ძალის გაყვანა და რუსეთის იძულება, რომ ხელი აიღოს აფხ-აზეთისა და ცხინვალის რეგიონის („სამხრეთ ოსეთის“) დამოუკიდებ-ლობის ცნობაზე. 2. ქართულ-აფხაზურ-ოსური კონფედერაციის შექმნის რუსული გეგმის განხორციელების არდაშ-ვევა. 3. საქართველოში 1944 წელს სსრკ-ს მიერ დეპორტირებულ ოჯახთა შთამომავლობის არა ხე-ლოვნურად გაზრდილი, არამედ მხოლოდ რეალური და საქართვე-ლოს სახელმწიფოს მშენებლობა-ში მონაწილეობისათვის განწყო-ბილი კონტიგენტის შემოსახლე-ბა. 4. სახელის „სამხრეთ ოსეთი“ ერთხელ და სამუდამოდ ამოღება ოფიციალური სიტყვახმარებიდან; განცხადება და მსოფლიოსთვის გან-მარტება იმისა, რომ „სამხრეთ ოსეთი“ არის რუსი ბოლშევიკი ოკუპანტების მიერ საქართველოს დაუძღურების მიზნით ხე-ლოვნურად შექმნილი ტოპონიმი და ადმინისტრაციული ართული, და არა ისტორიული, დემოგრაფი-ული, ეკონომიკური ან სხვა რამ რეალობა. 5.. განუკითხავი იმიგრაციის აღკვეთა და გაჭირვებით გამოწვეუ-ლი მასობრივი ემიგრაციის შე-ჩერება; დემოგრაფიული ვითარებ-ის რადიკალური გამოსწორება სახ-ელმწიფოს მაქსიმალურად აქტი-ური საკანონმდებლო, ორგანიზაცი-ული და ეკონომიკური მოქმედებე-ბის შედეგად. 6. სახელმწიფოს ხელოვნური ნგრევის (სასიცოცხლო ობიექტებ-ის განიავების, განათლების ნგრე-ვის და ა.შ. ჩათვლით) და სტრუ-ქტურული ნგრევის (კორუფციის კულტივაცია, კლანურობის თარე-ში და ა.შ.) შეჩერება. 7. სახელმწიფოებრიობის ოპ-ტიმალური მოდელის შექმნა და განვითარება (ქვეყნის სპეციფიკური პრობლემებიდან გამომდინარე), ანუ ისეთისა, რომელიც – ყველა სხვა შესაძლებელზე უკეთესად – უზრუნველყოფს როგორც მო-ქალაქეთა დღევანდელ კეთილდღე-ობასა და უსაფრთხოებას, ისე გრ-ძელვადიანი (მათ შორის - ისტო-რიულმასშტაბიანი) ეროვნული ამოცანების გადაჭრას, ამასთან, უნ-აკლულოდ შესაბამისი იქნება ად-ამიანის ადამიანურ უფლებათა-მოვა-ლეობათა გააზრების და მათი ორ-განიზაციული დაცვის პრაქტიკის იმ ყველაზე მაღალი დონისა, რომელიც კი დღეს არსებობს საქართველო-ში ან მსოფლიოს რომელსამე სხვა წერტილში. 8. სოციალური პრობლემების (პირველ ყოვლისა - საყოველთაო ჯანდაცვის და მაღალხარისხოვანი საყოველთაო განათლების პრობლე-მის) რადიკალური გადაჭრა სახ-ელმწიფოს მაქსიმალურად აქტი-ური მონაწილეობითა და ძალ-ისხმევით. 9. ქმედითი თავდაცვის აგება; მოსახლეობის საყოველთაო გაწვრთ-ნა; სამოქალაქო თავდაცვის ორგა-ნიზება; გაწვევაზე დამყარებული და პროფესიული შეიარაღებული ძალების შეხამებული თანაარსებობა და თანამოქმედება; დასავლეთის დემოკრატიებთან ქმედითი თანამ-შრომლობა ამ სფეროში ნატოში ყოფნის, ნატოსთან ხელშეკრულე-ბაში ყოფნის ან ხსენებულ სახ-ელმწიფოებთან (ერთთან ან მეტ-თან) ორმხრივ სათავდაცვო ხე-ლშეკრულებაში ყოფნის ფორმით. 10. მიწათმფლობელობისა და მიწათმფლობელობის დღევანდელი სურათის დემოკრატიზაცია (სასო-

ფლო-სამეორნეო მიწის მთლიანი ათვისება) პრინციპით „არც ერთი მეტრი მიწა დაუმუშავებელი“ (რასაც მოითხოვს ქვეყნის სასურ-სათო უსაფრთხოება მოსალოდნე-ლი მსოფლიო შიმშილობის პირობებში). 11. ენერგეტიკული, სამრეწვე-ლო და სატრანსპორტო ობიექტე-ბის პრიატიზების აქტითა გადა-ხედვა კანონიერების თვალ-საზრისით. ობიექტთა პრიატიზე-ბის პარალელურად მათი მართვის პრიატიზების (იჯარის) განვი-თარება. უძრავ ქონებაზე (მიწის ჩათვლით) გრძელვადიანი გასხვისე-ბადი იჯარის განვითარება. III. საქართველოს სახელმწი-ფოს შემდგომი მშენებლობის სტა-ბალური პრინციპებია: 1. ობიექტური საკანონმდებლო და პრაქტიკული პირობების შექმ-ნა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი, გაეროს მიერ აღიარებულ სახელმწიფოში მდებარე, „საქართველოდ“ წოდებული და ქართული (ანუ თავის მო-ქალაქეებთან სალიტერატურო ქართული ენით მოლაპარაკე) სახ-ელმწიფოს მარადიულყოფისათვის; საკანონმდებლო და პრაქტიკული პირობების შექმნა აფხაზი ხალხის, როგორც ეროვნული უმცირესო-ბის, სრული (მათ შორის - ტერი-ტორიული) ეროვნული თვითრე-ალიზაციისა და მარადიულყოფი-სათვის, აგრეთვე ყველა ეთნიკური კუთვნილების მოქალაქეთათვის (მათი სურვილის შემთხვევაში) სრული ეროვნული თვითრეალი-ზაციის (მათი სპეციფიკური ეროვნული ინტერესების) განსახ-ორციელებლად ფუნქციური (მა-გრამ არა ტერიტორიული) ავ-ტონომიის წესით. 2. დემოკრატიის განუხრელი დაცვა და მისი ხარისხის განუხრე-ლი ზრდისათვის შრომა საქრთვე-ლოს ყველა მოქალაქის მოვალეო-ბა და ინტერესთა, ვინაიდან – დემოკრატია არის ოპტი-მალური ორგანიზაციული ფორმა ორი ფუნდამენტური ადამიანური ღირებულების – თავისუფლებისა და თანასწორობის – რეალიზაცი-ისათვის, და – იგი არის ამავე დროს ოპ-ტიმალური ფორმა მოქალაქეთა შემოქმედებითი აქტიურობისათვის და ამ უკანასკნელზე დამყარებუ-ლი წარმატებისათვის. საქართველოს კონსტიტუციის უცვლელი ფორმაა: – საქართველო არის უნიტარუ-ლი სახელმწიფო ფართო და ქმედ-ითი თვითმმართველობით. – აფხაზეთი არის ავტონომი-ური ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეული საქართველოს შემადგენ-ლობაში. IV. საქართველოს ხელისუ-ფლების შეცვლის ამოცანა არსებული ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივ ქმედებათა გრძელი რივის საფუძველზე ჩვენ

მე-2 გვერდიდან იძულებულია უცხო ქვეყნის (ოს-ეთის) სახელის მატარებელ ტერ-იტორიაზე იმყოფებოდეს; მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საქართველოს პირველმავე დემოკრატიულად არჩეულმა უმაღლესმა საკანონმდებლო ორ-განომ – საქართველოს რესპუბ-ლიკის უზენაესმა საბჭომ – გააუ-ქმა უკანონო „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ (1991, II დეკემბერს), რაც მისი პირდაპირი მოვალეობა იყო, 2005 წელს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე და ქართველი მოსახლეობის უკი-თახავად, საქართველოს ხელისუ-ფლებამ გამოაცხადა მზაობა, რომ კიდევ ერთხელ შექმნას „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს ტერიტო-რიაზე. შემდეგ დაინიშნა პრეზი-დენტის რწმუნებული ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტო-რიაზე და მის სამართავ ტერი-ტორიაში შეეგანილ იქნა ახალ-გორის რაიონიც. ამ რაიონის მო-სახლენიც, ამ ტერიტორიის მკვიდრი მაცხოვრებელნი უხსო-

გაგრძელება მე-4 გვერდზე



საქართველო

მე-3 გვერდიდან

მიგვჩინა, რომ ეს ხელისუფლება მ. სააკაშვილის ხელმძღვანელობით სხვა არა არის რა თუ არ რუსული ადმინისტრაცია საქართველოში, რუსეთის ნების ცალსახად (თუმცა მეტ-ნაკლებად შენობა-ნაგებობების) აღმსრულებელი ქართველი ერისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესთა წინააღმდეგ. ამავე დროს იგი არის კორუმპირებული, ანაქონისტულად ავტორიტარული და არალეგიტიმური (არჩევნების ტოტალური გაყალბებით დღეს ძალაუფლების მპყრობელი). თქმულიდან გამომდინარე, აუცილებლად ვრაცხთ მის დაუყოვნებლივ შეცვლას ერთგული, არაკორუმპირებული და კვალიფიცირებული ხელისუფლებით, რისთვისაც აუცილებელია

რელაურად დემოკრატიული (ანუ ამომრჩეველთა ნების ამსახველი) საარჩევნო კანონმდებლობის შემოღება და ვადამდელი არჩევნების დანიშვნა.

საარჩევნო კანონმდებლობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნას:

– მონაწილე სუბიექტთა სასტარტო პირობების ზუსტი თანასწორობა (საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებაში მონაწილეობის ჩათვლით)

– საარჩევნო პროცედურის სრული გამჭვირვალობა (ამომრჩეველთა სიის ჩათვლით)

– მედიასაშუალებებისა და ფინანსების მისაწვდომობის ხარისხის განსაზღვრა კანონის მიერ

– მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების დაუშვებლობა

– ადმინისტრაციული დარღვევების დასჯადობა და ამ დასჯის გამჭვირვალობა

– დევნილების, სამხედრო მოსამსახურეების და პოლიციის თანამშრომლების ხმის მიცემის გამჭვირვალობა.

2. იქიდან გამომდინარე, რაც ზემოთ ითქვა არსებული ხელისუფლების ორგანოებისა და არალეგიტიმურობის შესახებ, ჩვენ, ვალი-

არებთ რა, სიტყვითა და საქმით, სამოქალაქო მშვიდობისა და საზოგადოებრივი წესრიგის აუცილებლობას, ამავე დროს არ ვცნობთ მას დე იურე, ანუ არ ვცნობთ მის უფლებამოსილებას, რომ განსაზღვრავდეს საქართველოს დღევანდელსა და მომავალ ბედს, განკარგავდეს მის ეროვნულ სიმდიდრეს, მის სათავდაცვლად, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად სტრატეგიულ ობიექტებს, წყვეტდეს ომისა და მშვიდობის საკითხებს, დებდეს ისეთ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს (მით უმეტეს, კაპიტულაციური მომენტების შემცველს), რომელთაც პრინციპულად შეუქცევადი ან ძნელად შესაქცევი შედეგები მოჰყვებათ.

გვინდა იცოდნენ საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის მქონე სახელმწიფოებმა, აგრეთვე საქართველოსთან და მასში არსებულ იურდიულსა და ფიზიკურ პირებთან საქმიანი ურთიერთობის მქონე იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა, რომ საქართველოს დღევანდელი არალეგიტიმური

და ორგული ხელისუფლების მიერ განხორციელებული იურდიული აქტები ტერიტორიის თაობაზე, მის რომელსაზე წერტილში ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილების თაობაზე და საკუთრების (პირველ ყოვლისა – უძრავი ქონების) თაობაზე ექვემდებარება გაბათილებას მომავალი ლეგიტიმური ხელისუფლების მხრიდან იმ შემთხვევებში, თუ ეს აქტები ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, რისი ფაქტიც ყველა ცალკეულ შემთხვევებში ექვემდებარება დადგენას სასამართლოს მიერ.

საქართველოს ხელისუფლების შესაცვლელად ერთგული, არაკორუმპირებული და კვალიფიციური ხელისუფლებით ჩვენ გამოსადგვად მიგვჩინა მთელი სპექტრი ტირანიასთან ბრძოლის იმ ჰუმანური მეთოდებისა, რაც კაცობრიობის ეთიკურ და ზოგად ჰუმანიტარულ აზრს სადღეისოდ განსაზღვრული აქვს.

V. დასახელებულ პრიორიტეტ-

ულ მიზანთა პარადიგმად ჩვენი განზრახული გვაქვს **საქართველოში რად ინტენსიური ძალისხმევა მიმდინარე ამოცანათა გადასაჭრელად**, მათ შორის – საქართველოს ადეკვატური ინფორმაციული თავდაცვის, ანუ მსოფლიოსთვის საქართველოში არსებული პრობლემების მდგომარეობის შესახებ სწორი ინფორმაციის მიწოდების ამოცანისაც, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია არაერთი საფრთხის ნეიტრალიზაციისათვის.

საპარტიო ეროვნულ პარტიათა ალიანსის სახელით:

აფციაური ლ., ბახტაძე დ., ბერიანიძე ტ., გიორგაძე მ., გუჯაბიძე დ., ლუნდუა რ., ზარდალიძე ი., კაკულია ა., კოლუაშვილი პ., მგალობლიძე ვ., ნათაძე ნ., სიჭინავა ა., სორდია გ., ქორიძე თ., ჩხეიძე თ.

10 თებერვალი 2009 წ.

საქართველოს ეროვნული მიმართულების და, მაშასადამე, ჰუმანიტარულ დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადება

არაერთი მკაფიო ფაქტი მოწმობს, რომ მ. სააკაშვილი და მისი პოლიტიკური გუნდი, რომელთაც დღეს საქართველოს სახელმწიფოს საჭე უჭირავთ, რუსეთის მიერ არიან მართლმართლ, რის გამოც მათი პოლიტიკა საქართველოსათვის საკვანძო არაერთ პრობლემასთან დაკავშირებით პირდაპირსა და მიზანმიმართულ წინააღმდეგობაშია სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებთან. ამ დივერსიული პოლიტიკის შედეგად ხდება საქართველოს დემოგრაფიული, ეკონომიკური, სტრატეგიული, ტერიტორიული და კულტურული ნგრევა, საქართველოს ედება ასტრონომიული მასშტაბის სახელმწიფო ვალეები, მას ეკარგება პოზიციები და პრესტიჟი, პბრალდება ყალბი „დანაშაულები“. ჩვენ მიგვჩინა, რომ საქართველო არაა ვალდებული, ზიდოს ამ შემთხვევითი ადამიანების მიერ მისთვის ხელგაშვრად აკიდებულ ზიანთა, დამარცხებათა და დანაშაულობათა ტვირთი – ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს ადამიანები ქვეყნის ერთგულნი არ არიან, მეორეც, იმიტომ, რომ მათი ძალაუფლება ლეგიტიმური არ არის, ანუ ძალაუფლება მათ დღეს უპყრიათ 2008 წლის ტოტალურად გაყალბებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შედეგად.

ნიშაცები და კერძო მოქალაქეები, ვართ რა კანონმორჩილნი და წესრიგზე მზრუნველნი, რის გამოც ჩვენს თანამოქალაქეებსაც კანონმორჩილებისაკენ მოუწოდებთ, ამავე დროს არ ვცნობთ არსებულ ხელისუფლებას დე იურე, ანუ არ ვცნობთ მის უფლებამოსილებას, რომ განსაზღვრავდეს საქართველოს დღევანდელსა და მომავალ ბედს, განკარგავდეს მის ეროვნულ სიმდიდრეს, მის სათავდაცვლად, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად სტრატეგიულ ობიექტებს, წყვეტდეს ომისა და მშვიდობის საკითხებს, დებდეს ისეთ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს (მით უმეტეს, კაპიტულაციური მომენტების შემცველს), რომელთაც პრინციპულად შეუქცევადი ან ძნელად შესაქცევი შედეგები მოჰყვებათ.

წინამდებარე განცხადებით ვატყობინებთ საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების მქონე სახელმწიფოებს, აგრეთვე საქართველოსთან და მასში არსებულ იურიდიულსა და ფიზიკურ პირებთან საქმიანი ურთიერთობის მქონე იურიდიულსა და ფიზიკურ პირებს, რომ საქართველოს დღევანდელი არალეგიტიმური და ორგული ხელისუფლების მიერ განხორციელებული იურიდიული აქტები ტერიტორიის თაობაზე, მის რომელსაზე წერტილში ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილების თაობაზე და საკუთრების (პირველ ყოვლისა – უძრავი ქონების) თაობაზე ექვემდებარება გაბათილებას მომავალი ლეგიტიმური ხელისუფლების მხრიდან იმ შემთხვევებში, თუ ეს აქტები ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, რისი ფაქტიც ყველა ცალკეულ შემთხვევებში ექვემდებარება დადგენას სასამართლოს მიერ.

საპარტიო ეროვნულ პარტიათა ალიანსი 4.02.2009

საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსის ღია მიმართვა საქართველოს პრეზიდენტად საკუთარი კანდიდატურის წარდგენის განმზრახველებისადმი დღეს და უახლოეს მომავალში

ქალბატონებო და ბატონებო როგორც საქართველოს მოქალაქეები და პოლიტიკური ორგანიზაციები, ჩვენს უფლებად და მოვალეობად ვრაცხთ, კითხვით მოგმართოთ იმაზე, თუ როგორ ფიქრობთ, საქართველოს წინაშე მდგომი ძირითადი საშიშროებებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ყველაზე მწვავე პრობლემების გადაჭრას.

1. საქართველოს განთავისუფლებას რუსი დამპყრობლებისაგან და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ხომ არ ფიქრობთ, დაეთანხმით რუსეთის განზრახვას, რომ შეიქმნას კონფედერაციული, მაშასადამე, დამოუკიდებელი არამყარ სახელმწიფო დამოუკიდებელი საქართველოს, „დამოუკიდებელი“ აფხაზეთისა და „დამოუკიდებელი“ „სამხრეთ ოსეთის“ შემადგენლობით? ჩვენ ასეთი სახელმწიფოს შექმნაზე დათანხმება, რაგინდარა მიმე პირობებში, სახელმწიფოს პირდაპირ დალატად მიგვჩინა.

2. რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ დღეს მიმდინარე თავდაცვითი ომის მოგებას. ხომ არ ფიქრობთ, რომ დასაშვებია, რუსეთის შეიარაღებულ ძალთა გაყვანის სანაცვლოდ (რაც, ჩვენი გათვლით, ყველა შემთხვევაში მოხდება), დაეთანხმით საქართველოს ერთი ნაწილი-სათვის „სამხრეთ ოსეთის“ წოდებას, რაც მსოფლიო საზოგადოების წინაშე დაყენებს ორი „ოსეთის“ - ერთი ნამდვილისა და მეორეს ყალბის - „გაერთიანების“ ამოცანას? ჩვენ, რაგინდარა მიმე პირობებში, ამაზე დათანხმებაც მიგვჩინა პირდაპირ სახელმწიფო დალატად.

რუსეთის წინააღმდეგ თავდაცვითი ომის მოგებად ჩვენ მიგვჩინა იმის მიღწევა, რომ არც ერთი რუსი ჯარისკაცი არ იდგეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ფიქრობთ თუ არა ასევე თქვენც?

3. საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველო უნდა იყოს უნიტარული სახელმწიფო ორი ავტონომიით: აფხაზეთში და (თუ მოსახლეობა სხვაგვარად არ ფიქრობს) აჭარაში. აფხაზეთში დარეგულირება გულისხმობს უფლებამოსილებათა განაწილების განსაზღვრას როგორც თბილისისა და სოხუმს, ისე სოხუმსა და აფხაზეთის რეგიონებს შორის. დარეგულირებაში შედის დემოგრაფიული დაცვაც საზღვარგარეთიდან იმიგრაციისაგან, რის კონტროლსაც ახორციელებს სახელმწიფო, და შინაგანი მიგრაციის კონტროლსაც, რაშიც ავგილობრივ ხელისუფლებას არსებითი როლი ეკუთვნის.

საქართველოს ოსური მოსახლეობის (160 ათასის, და არა მხოლოდ 60 ათასის, რომელიც ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს) სპეციფიკურად ეროვნული ინტერესების გატარებისათვის ჩვენ მიზანშეწონილად მიგვჩინა ფუნქციური (და არა ტერიტორიული) ავტონომია, კულტურული ჩათვლით. ფიქრობთ თუ არა ასევე თქვენც?

4. გაგრეობლიტიკური კურსის განსაზღვრას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დასავლეთის დემოკრატიუბთან სათავდაცო ალიანსი საქართველოსათვის აუცილებელია. ფიქრობთ თუ არა ასევე თქვენც? 5. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს ფედერალიზაცია, ანუ

მისი ადმინისტრაციული დაყოფა ისტორიულ პროვინციათა სქემით, საქართველოსათვის სასიკვდილოა, რადგან იგი ორ-სამ თაობაში გამოიწვევს არა მხოლოდ ქვეყნისა და ერის, არამედ თვით ეროვნული ცნობიერების დანაწევრებასაც. ფიქრობთ თუ არა ასევე თქვენც? 6. რა და რა ნაბიჯებით ფიქრობთ დემოგრაფიული კატასტროფისაგან საქართველოს გადარჩენას? (ჩვენ კონკრეტული სქემა გვაქვს. თუ თქვენც გაქვთ, გთხოვთ იგი განაცხადოთ)

7. საქართველოს სათავდაცვლ ძალთა, ჩვენის აზრით, გულისხმობს პროფესიული შეიარაღებული ძალების, გაწვევაზე აგებული ძალებისა და სარეზერვო სისტემის ერთობლივ განვითარებას, სამოქალაქო თავდაცვის შექმნას, სამხედრო მომზადებას სკოლაში და სათავდაცვო მრეწველობის განვითარებას. გვინტერესებს თქვენი კონცეფცია ამ საკითხზე.

8. რაა, თქვენი ხედვით, საქართველოს ეკონომიკის გადარჩენისა და განვითარების პროგრამა და გამჭვლი მიზანი? ჩვენ ასეთ მიზნად გვესახება მიღწევა

- სასურსათო უსაფრთხოებისა, ანუ საქართველოს გამოკვება საკუთარი ეკოლოგიურად მისაღები პროდუქტით;

- მაღალტექნოლოგიური მეცნიერებატევად ინდუსტრიის შექმნისა საკუთარ (შიდა), მეზობელ და აღმოსავლურ ბაზარზე (დარგობრივად, აგრეთვე დასავლეთის ბაზარზე) ორიენტაციით.

- განათლებისა და მეცნიერების აწ დაწერული სისტემის დ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსისა და საქართველოს ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობისაგან

1. საქართველოს ხელისუფლება მ. სააკაშვილის ხელმძღვანელობით დღეს ღიად აცხადებს მზახობას, რომ საქართველოს ყველაზე დიდი ჰესი - ენგურჰესი (სიმილაკრით საქართველოს ჰესების 50%-ზე მეტი) - გადასცეს რუსეთს, რომელიც ამჟამად საქართველოსთან შეტევითი დამპყრობლური ომის მდგომარეობაშია, საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილის წართმევას ცდილობს და, ყველა ნიშნის მიხედვით, გვემავს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, დაშლას, მისი ეკონომიკის დანგრევას და მის შეძლებისდაგვარად შორსმდევალ დეპოზიტებს. ეს ხდება იმ ვითარებაში, როცა საქართველოს დანარჩენი ჰესების სიმილაკრის 80% გადასულია რუსეთის საკუთრებაში. პრინციპულად საქართველოს ხელისუფლების ეს ქმედება არის საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთთან საქმიანი ურთიერთობის აღიარება მის მიერ საქართველოს ტერიტორიის ხელყოფის პირობებში, ანუ კაპიტულაცია, აგრეთვე აფხაზეთის უკანონო სეპარატისტული ხელისუფლებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ობიექტების განკარგვაში მხარის სტატუსის აღიარება, რაც ისევ და ისევ კაპიტულაციაა. პრაქტიკულად ეს ქმედება არის რუსეთისათვის საბაბის მიცემა, რათა თავისი შეიარაღებული ძალებით დაიკავოს ენგურჰესის ნაგებობები, მათ შორის კაშხალი (270 მ. სიმაღლისა), რის უფლებაცზეც რუსეთი პრეტენზიას აცხადებს თავისი სახელმწიფო უშიშროების აგრესიული დოქტრინის მიხედვით, და ნებისმიერ დროს მოახდინოს როგორც საქართველოს ენერგეტიკული პარალიზება, ისე კაშხალთან დაკავშირებული ხელოვნური კატასტროფა. რუსეთის ეს სავესებით ცნობიერი აგრესიული იმპერიული პოლიტიკა მიმართულია არა მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ, არამედ თანამედროვე დემოკრატიული ცივილიზაციის წინააღმდეგაც საერთოდ, რამდენადაც მისი ერთერთი აგრესიული მიზანია, სხვა ანალოგიურ მიზანთა შორის, მდგომარეობს იმაში, რომ გადაუკეტოს დასავლურ დემოკრატიას გზა ამიერკავკასიის ყელით აზიის ცენტრალური ნაწილისკენ და აღმოსავლეთს - შავი ზღვისა და ცენტრალური ევროპისკენ.

ამგვარად, საქართველოს ხელისუფლების ზემოსწინებული განაზრახვი არის დღესდღეობით საქართველოზე შემომტევი ყველაზე აქტიური მტრული ძალის სამსახური საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების საზიანოდ.

2. მიგვაჩნია, რომ საქართველოში მომწიფებულია ერისა და საზოგადოების მიერ იმის კონსტატაციის სამწუხარო აუცილებლობა, რომ მ. სააკაშვილი და მისი გუნდი, საპარლამენტო უმრავლესობის ჩათვლით, არიან არა ქართული, არამედ რუსული ადმინისტრაცია საქართველოში, კრემლის მიერ ცალსახად მართული. საქართველოს ხელისუფლების მოქმედება 2008 წლის აგვისტოს ომის დროს,

აგრეთვე მის წინა თვეებსა და წლებში ამას ცალსახად მეტყველებს. სახელდობრ:

- სააკაშვილის ხელისუფლება, ისევე, როგორც შევარდნაძის ხელისუფლებამ, არ განაცხადა ოფიციალურად, რომ აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე შეიარაღებული ბრძოლა არის არა ეთნიკური კონფლიქტი, არამედ რუსეთის გამოუცხადებელი დამპყრობითი ომი საქართველოს წინააღმდეგ; რომ იგი ინსპირირებულია, ორგანიზებულია, მართულია რუსეთის მიერ და მასში ერთი მხარე შეიარაღებულია, ადგურებულია, სადაზვერვო მონაცემებით და საპროპაგანდო მხარდაჭერით უზრუნველყოფილია რუსეთის მიერ. სააკაშვილის ხელისუფლებამ ოფიციალურად არ გამოიყენა ქვეყნის დაცვაში ის არგუმენტი, რომ რუსეთი პირდაპირ მონაწილეობს სსენებულ ომში თავისი „მოხალისეების“, „დაქირავებულების“ (სინამდვილეში კი ბრძანებით მოქმედი სამხედრო მოსამსახურეების) სახით და რეგულარული ჯარების სახითაც კი. შესაბამისად, სააკაშვილის ხელისუფლებამ შეუფერხებლად დაუშვა რუსეთის ფუნქციონირება, როგორც „ფაცილიტატორისა“ სსენებულ კონფლიქტთა „მოგვარების“ საკითხებში და როგორც გაეროს გენერალური მდივნის „მეგობარი“ ქვეყნისა ამ ამოცანასთან დაკავშირებით.

- მან არ გააუქმა რუსების „სამშვიდობო“ მანდატი ამ კონფლიქტებში, რუსეთისათვის მიცემული შევარდნაძის მიერ

- მან არ გააუქმა საქართველოს მყოფობა „დსთ“-ში, რომლის წევრის სტატუსითაც რუსეთი სარგებლობდა გაეროს „სამშვიდობო“ მანდატით

- მან გამოთქვა მზახობა საქართველოში „სამხრეთ ოსეთის“ შესაქმნელად, რითაც, ყოველგვარი იურიდიული, დემოგრაფიული, ისტორიული და მორალური საფუძლის გარეშე, მსოფლიოს წინაშე შესაძლებელი გახდა ორი „ოსეთის“ - ერთი ნამდვილისა და მეორე ფალბის - „გაერთიანების“ ამოცანის დაყენება.

- მ. სააკაშვილმა საქართველოს პრეზიდენტის „რწმუნებულად“ რუსებისა და სეპარატისტების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე შიდა ქართლში დანიშნა კრიმინალი სანაკოევი, თუმცა ეს უკანასკნელი ღიად მდიდოდა და მდიდის საქართველოს კანონის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოში არანაირი „ოსეთის“ არსებობას არ ცნობს.

- მან სსენებული კრიმინალის, სანაკოევის მართვას დაუქვემდებარა არა მხოლოდ რუსებისა და სეპარატისტების მიერ კონტროლირებული ტერიტორიები, არამედ ახალგორის რაიონიც, სადაც არავითარი კონფლიქტი ქართველ და ოს მოსახლეობას შორის არ მო-

მხდარა და სადაც არც ერთი „მეშვიდობე“ რუსი, ისევე როგორც არც ერთი შეიარაღებული სეპარატისტი, შესული არ იყო.

- მან წაახალისა დანარჩენი საქართველოსაგან აფხაზეთის მყოფი სეცესიის გეგმა, რომელიც ნაკარნახევი და დაფინანსებული იყო უცხოეთიდან, მის პროექტზე ხელმოწერი ავტორების არაპირდაპირი დაჯილდოების სახით; არაფრით არ გამოჩენილი და არანაირი დამსახურების არმქონე კუბლასვილი დანიშნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ და ასევე არაფრით არ გამორჩეული ბაქრაძე ფაქტურად აურჩევლად დააწინაურა პარლამენტის თავმჯდომარედ.

სახელმწიფო დალატის ამ უდავო ფაქტების ფონზე ჩვენ ვფიქრობთ, რომ აგვისტოს ომში სააკაშვილის, როგორც მთავარსარდლის, მოქმედება მთლიანად რუსეთის მიერ იყო მართული და მთლიანად წარმოადგენდა სახელმწიფო



რუსეთის შემოტევა THE ECONOMIST-ში

დალატს: მან ცეცხლი გახსნა მაშინ, როცა რუსებმა უბრძანეს, და იხმარა ის იარაღი, რომელიც რუსებმა უბრძანეს. წინასწარ ოფიციალურად განუცხადებელი შეიარაღებული პასუხით რუსებისა და ოსების მიერ ქართული სოფლები-სათვის მრავალკვირიანი ცეცხლის წარმოებაზე და ამ პასუხამდე რუსების სამშვიდობო მანდატის არგაუქმებით სააკაშვილმა წინასწარგანზრახულად მისცა რუსეთს ფორმალური საშუალება საქართველოსათვის ორი ფალბი ბრალდების წყყენისა, რომლებიც რუსეთმა გამოიყენა საქართველოს წინააღმდეგ შეტევის ორადორ საბაბად: რომ ქართველებმა მეშვიდობობებს ცეცხლი გაუხსნეს (რაც სინამდვილეში არ მომხდარა) და რომ ქართველებმა ოსებს „გენოციდი“ მოუწოდებეს (რაც აგრეთვე არ მომხდარა).

- მან გააუქმა კოდორის ხეობისა და მისი მოსახლეობის ერთადერთი რეალური დამცველი ფორმირება - მოსახლეობისაგან დაკომპლექტებული ბატალიონი „მონადირე“ - და 2009 წლის აგვისტოში წინააღმდეგობის გარეშე დაუთმო მტერს სსენებული ხეობა.

ჩამოთვლილ ქმედებებს სხვა კვალიფიკაცია და სხვა ახსნა ვერ მიეცემა, თუ არ როგორც შეგნებული სახელმწიფო დალატისა, რომლის მიზეზი და საფუძველია მტრის (რუსეთის) შეგნებული და მიზან-

მიმართული აგენტურული სამსახური.

გარდა ამისა, არსებობს ეჭვი, რომ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ მოწყობილი ბარბაროული დარბევა სააკაშვილის ადმინისტრაციის მიერ 2007 წლის 7 ნოემბერს, როცა გამოყენებული იქნა მსხუთავი (და არა ცრემლმდენი) გაზი და რეზინის ტყვიები, მოწყობილი იყო იმ მიზნით, რომ იმ ევროპულ სახელმწიფოებს, რომელთაც არ ჰსურდათ და არ ჰსურთ საქართველოს მიღება ნატოში, საშუალება მისცემოდათ საქართველოს კანდიდატურის უარყოფისა ამ სახელმწიფოს არასაკმარისი დემოკრატიულობის მოტივით

შენიშვნა: ზემოწინააღმდეგობა პარალელურად სააკაშვილისა და მისი ადმინისტრაციის მხრიდან საქართველოს სახელმწიფოს დალატი რუსეთის სასარგებლოდ ხორციელდება, ჩვენის აზრით, იმიტაც, რომ

- ხდება საქართველოს კეთილდღეობისა და ქართველი საზოგადოების განვითარების მიზანმიმართული საბოტირება საშუალო კლასის ჩამოყალიბების არდაშეების, მრეწველობისა და, საერთოდ, წარმოების საგადასახადო „ხრჩობის“, ემიგრაციისა და იმიგრაციის სტიმულირების, განათლებისა და მეცნიერების ხგრევის და სხვა ანალოგიური დივერსიული ნაბიჯების სახით (რაც „დასავლური ღირებულებების“ რეალიზაციის ყალბი მოტივით ინილება, ამ ღირებულებათა დისკრედიტაციის მიზნით, და რაც შეესაბამება რუსეთის ზემოსწინებული სტრატეგიით განპირობებულ გეგმას, რომ საქართველო ვერშემდგარ სახელმწიფოდ აქციოს), და

- ხდება საქართველოს საკვანძო ეკონომიკური სიმილაკრების მიზანმიმართული გადაცემა რუსეთისა და რუსული ფირმების (მათ შორის - რუსული სახელმწიფო ფირმების) ხელში. ენგურჰესის გადაცემა რუსეთისათვის ამ მიზანმიმართული პროცესის მხოლოდ ერთერთი, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი ეპიზოდია.

3. საქართველოში სააკაშვილისა და მისი გუნდის ხელისუფლება - მის ხელში საკანომდელო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ყველა ბერკეტების თავმოყრა, აგრეთვე მისი უკანონო ბატონობა მეოთხე ხელისუფლებაშიც (მედიაში) არალეგიტიმურია, სახელდობრ, იგი ხელისუფლებაში იმყოფება არჩევნების ტოტალური გაყალბების, ხოლო შემდეგ, სახელმწიფო ხელისუფლების კანონწინააღმდეგოდ გამოყენებით, ახალ-ახალ უფლებათა უზურპაციის გზით.

4. თქმულიდან - სახელდობრ, სახელმწიფოსა და ერისადმი სააკაშვილისა და მისი გუნდის ორგულობიდან და მათი ხელისუ-

ფლების დღესდღეობით არალეგიტიმურობიდან - გამომდინარე, ვიცით რა, რომ ჩვენი აზრი, სულისკვეთება და პოზიცია ემთხვევა და ასახავს ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობისა, ჩვენს უფლებად და მოვალეობად ვრაცხთ, განვაცხადოთ შემდეგი:

ჩვენ, როგორც საქართველოს მოქალაქენი, აგრეთვე როგორც ამათუ იმ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრნი ან მხარდამჭერნი, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც და პოლიტიკურ საქმიანობაშიც ვიცავთ სამოქალაქო წესრიგის ყველა წესს და არსებული კანონის ყველა მოთხოვნას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვეყანას ემუქრება ქაოსი. ამავე დროს ჩვენ იურიდიულად არ ვცნობთ საქართველოს ხელისუფლებად პირადად სააკაშვილს და მისი პოლიტიკის გამტარებელ გუნდს მათი სახელმწიფოსადმი ორგულობისა და მათი არალეგიტიმურობის გამო, სახელდობრ, არ ვცნობთ ამ ხელისუფლების უფლებამოსილებას, რომ განსაზღვრავდეს საქართველოს დღევანდელსა და მომავლ ბედს, განკარგავდეს მის ეროვნულ სიმილდრეს, მის სათავადაცვოდ, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად სტრატეგიულ ობიექტებს, წვევბლეს მისი ომისა და მშვიდობის საკითხებს და, შესაბამისად, დებდეს ისეთ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს (მათ უმეტეს, კაპიტულაციური მომენტების შემცველს), რომელთაც პრინციპულად შეუქცევადი ან ძნელად შესაქცევი შედეგები მოჰყვებათ. წინამდებარე განცხადებით ჩვენ წინასწარ ვატიყობინებთ საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის მქონე სახელმწიფოებს.

აგრეთვე საქართველოსთან და მასში არსებულ იურიდიულსა და ფიზიკურ პირებთან საქმიანი ურთიერთობის მქონე იურიდიულსა და ფიზიკურ პირებს, რომ საქართველოს დღევანდელი არალეგიტიმური და ორგული ხელისუფლების მიერ განხორციელებული იურიდიული აქტები ტერიტორიის, მის რომელსამე წერტილში ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებების თაობაზე და საკუთრების (პირველ ყოვლისა - უძრავი საკუთრების) თაობაზე ექვემდებარება გაბათილებას მომავალი დემოკრატიული არჩეული, მამსადაძე, ლეგიტიმური ხელისუფლების (ხელისუფლების) მხრიდან იმ შემთხვევებში, თუ ეს აქტები ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, რისი ფაქტიც ყველა ცალკეულ შემთხვევებში ექვემდებარება დადგენას სასამართლოს მიერ.

საქართველოს ეროვნული პარტიათა ალიანსისა და საქართველოს ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის სახელით:

ავტორი ლ., ბახტაძე დ., ბერიანიძე ტ., გიორგაძე მ., დუნდუა რ., ზარდალიშვილი ო., კაკულია ა., კოლეშვილი პ., ნათაძე ნ., სიჭინავა ა., სორდია გ., ჩხაიძე შ.

20.01.2009

მე-ნ გვერდიდან

ული უნიტარული პრინციპიდან ამა თუ იმ კონკრეტულ გარემოებათა გამო. ამგვარ გარემოებათა ჩამონათვალი სასრულია და ყოველი მათგანის გათვალისწინების მიზანშეწონილობა თუ მიზანშეწონილობა კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის განსაზღვრის ამოცანასთან დაკავშირებით გაანალიზებადი. უხეში მიახლოებით შეიძლება ითქვას, რომ გონივრულსა და სამართლიან არჩევანს უნიტარულ მოწყობასა, ფედერალურ მოწყობასა და ასიმეტრიულ ფედერალურ მოწყობას შორის ყველა კონკრეტული სახელმწიფოს შემთხვევაში განსაზღვრავს ის, თუ

- რა არის უმჯობესი სახელმწიფოს, როგორც ასეთის, წარმატებული ქმედუნარიანობისათვის
- რა არის უმჯობესი ადგილზე მართვის ოპერატიულობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით
- რა არის დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი, მორალური თვალსაზრისით, მოქალაქეებისათვის ან მათი რომელიმე ნაწილისათვის
- რა არის სამართლიანი, ანუ ყველაზე უფრო მისაღები, მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფების სხვადასხვა მორალურ მოთხოვნებთან უპირატესი საფუძვლიანობისა და დასაბუთებულობის (როგორც იურიდიულის, ისე მორალურის) თვალსაზრისით.

საქართველოს ფედერალიზაცი-

ის (ანუ მისი „მხარეებად“, პრაქტიკულად - ისტორიულ პროვინციებად კვლავ დაყოფის) იდეა და გეგმა, რომელიც დღეს ფიგურირებს პრესაშიც და ზოგი პოლიტიკური ჯგუფის (მათ შორის პარტიის) გამოსვლებში (ხოლო პრაქტიკულად უკვე დანერგილია, ნაწილობრივ, სამხარეო მოწყობის სახით), ჩვენ მიგვაჩნია არა მხოლოდ არამეცნიერულად და, მაშასადამე, უპასუხისმგებლოდ, არამედ ანტიმეცნიერულადც. სახელდობრ

- მას არ ახლავს გათვლა იმისა, თუ რა ჯობს ადგილზე მართვის მექანიზმთა ოპტიმალურობისათვის (მაგ. რა მანძილი უნდა იყოს საავადმყოფოსა და ყველაზე შორი პაციენტის ბინას შორის, რამდენ მოსახლეზე უნდა მოდიოდეს ერთი სასამართლო, რამდენ სასამართლოს გასწვდება ან ვერ გასწვდება ოუსტიციის ერთი სამინისტრო და ა.შ.)
- მას არ ახლავს კონსტატაცია იმისა, თუ მოქალაქეთა რა და რა ჯგუფებს აქვთ ან არა აქვთ მორალური მოთხოვნები (და, შესაბამისად, მორალური უფლებაც), რომ მათი სახლობის ადგილი პოლიტიკურად და ოფიციალურად გამოცალკეებული იყოს დანარჩენი საქართველოსაგან, ანუ ისინი არ იყონ, მართვის თვალსაზრისით, გაერთიანებულნი ხალხის დანარჩენ ნაწილთან.
- რაც მთავარია, არ არის გათვალისწინებული ის, რომ ფედერალურ ცალკე ერთეულებად დაყოფა ქმნის ადგილობრივი

პოლიტიკური ნებისა და სახელმწიფოს ცენტრალური პოლიტიკური ნების დაპირისპირების გარდუვალობას, რაც, თავის მხრივ, ასევე გარდუვალად ბადებს და აფართოებს თვითიდენტიფიკაციის განსხვავებულობას ერთის მხრივ ადგილობრივსა და მეორეს მხრივ საერთოეროვნულს შორის. (ანუ, ბავშვს რომ ჰკითხავენ „უანი ფრანგია, ჯონი - ინგლისელი, ოპანეზი - სომეხი. შენ ვინა ხარ?“, იგი ორი თაობის შემდეგ აღარ გიპასუხებთ „ქართველი ვარ“, არამედ გიპასუხებთ „კახელი ვარ“, „მესხი ვარ“ და ა.შ.). ამგვარად,

თუ მოხდება საქართველოს ფედერალიზაცია, ანუ მისი დაშლა ცალკე ერთეულებად, როგორც არსებობდა საქართველოს ისტორიული ძნელბედობის საუკუნეებში, ეს დაყოფა დაშლის არა მხოლოდ სახელმწიფოს და ერს, არამედ თვით ეროვნულ ცნობიერებასაც, მას გადააქცევს არა ერთიან ქართულ ცნობიერებად, არამედ კუთხურ ცნობიერებათა ჯამად.

თქმულიდან გამომდინარე, ჩვენ გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ აღნიშნული გეგმა საქართველოს დაყოფისა ფედერალურ ერთეულებად, რომელიც დღეს ფიგურირებს პრესაში და ნაწილობრივ რეალიზდება კიდევ საქართველოს სამხარეო დაყოფის სახით, არის

- არამეცნიერული და ანტიმეცნიერული
- საქართველოსათვის, როგორც სახელმწიფოსათვის, და ქართველი ერისათვის, როგორც ერი-

სათვის, სასიკვდილო საფრთხის შემცველი.

4. ამ კონტექსტში საყურადღებოა ის, რომ საქართველოს ფედერალიზაციის მომხრენი არიან საქართველოს ის მტრები, რომლებიც თავს უფლებას აძლევენ, გამოთქვან თავისი სურვილები საქართველოს შინაგანი მოწყობის თაობაზე, მათ შორის რუსეთის პოლიტიკური ფიგურები ელცინი, გრაჩოვი, კოზირევი, გორბაჩოვი, რაგოზინი. აღსანიშნავია, რომ რუსი პოლიტიკური წრეების დღევანდელი გამონათქვამები საქართველოს „ფედერალური“ მოწყობის შესახებ ნიღბავენ მათსავე ზრახვას, რომ საქართველო იყოს კონფედერაციული სახელმწიფო (ანუ ფაქტურად ერთდღიანი სახელმწიფო) და მას შეიარაღებულ „გარანტიად“ ზურგში რუსეთი ედგას.

5. საქართველოსათვის, ჩვენი გათვლით, მიზანშეწონილია და სამართლიანია უნიტარული სახელმწიფოებრიობა მხოლოდ ორი გამონაკლისით აფხაზეთის ავტონომიისა და აჭარის ავტონომიის სახით.

პირველი ემყარება იმას, რომ აფხაზი (აფსუა) ხალხი თავისი ეროვნული თვითცნობიერებით დღეს განსხვავებულია თავისი უახლოესად მონათესავე ადიღეური მოდგმის სხვა ხალხებისაგან და, ამგვარად, საქართველოს გარეთ დღეს სხვა სამშობლო აღარა აქვს. მეორე ემყარება იმას, რომ აჭარაში არსებობს ორი სარწმუნოების ქართველი მოსახლეობის ჰარმო-

ნიის ორგანიზაციული გაძლიერების პრობლემა. ეს პრობლემა ყოველ მოცემულ კონკრეტულ ვთბაზე რამდენად აქტუალურია და რამდენად არა, ეს მაცხოვრებლების გადასაწყვეტია.

საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსი, საქართველოს წინააღმდეგობის მოძრაობა და რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილეთა კავშირი მზად არიან, თავისი ზემოთქმული ორივე თეზისი

- რომ საქართველოს ფედერალიზაციის გეგმა საქართველოსათვის სასიკვდილო საფრთხეთა შემცველია და რომ
- საქართველოს ფედერალიზაცია დღეს მტრულად განწყობილი გარეშე ძალების მიზანმიმართული მხარდაჭერით სარგებლობს,

დაასაბუთონ ღია დისკუსიაში ნებისმიერ აკადემიურ და პოლიტიკურ ოპონენტთან. დისკუსია ჩატარდება ახლო მომავალში. მას მოჰყვება ღია დისკუსიები საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ყველა სხვა ძირეულ საკითხზე.

სამართველოს პროვინული პარტიათა ალიანსი
სამართველოს წინააღმდეგობის მოძრაობა
რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილეთა კავშირი

24/01.2009

საქართველოს რესპუბლიკის ისტორია

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს ოპოზიციურ ორგანიზაციებს

ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს — საქართველოს კანონიერი ხელისუფლების — წევრთა ნაწილს, ვეგრდნობით რა საქართველოს კონსტიტუციით მონიჭებულ უფლებებსა და ჩვენს მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, მიგვაჩნია, რომ დღეს საქართველო დგას სამოქალაქო ომის ზღურბლზე, რაც გამოწვეულია ორი დაპირისპირებული ძალის არსებობითა და მათი აქტიური მოქმედებით, რომელიც ორივე მხრიდან ხშირად იძენს არაკანონიერ, არაკონსტიტუციურ ხასიათს. მოსალოდნელი ეროვნული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად სასწრაფოდ განსახორციელებელია შემდეგი:

1. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა რადიკალური და ტელევიზიური დაუყოვნებლივ მოუწოდოს საქართველოს მოსახლეობას სამოქალაქო მშვიდობისაკენ.
2. უმოკლეს ვადაში შედგეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომა. უზრუნველყოფილ იქნეს სხდომის პირდაპირი ტელეტრანსლაცია.
3. უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად განხილულ იქნას პარლამენტს გარეთ მყოფი პოლიტიკური ძალების შეთანხმებული წინადადებანი.
4. პრეზიდენტმა და მინისტრთა კაბინეტმა უზრუნველყონ მოწოდების შესაბამისად ქ. თბილისში ჩამოყვანილი მოსახლეობის დაბრუნება საცხოვრებელ ადგილზე.

5. ეროვნული გვარდიის ნაწილები დაბრუნდნენ შავნაბადაზე, უზენაესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანამდე ამ ნაწილების სტატუსთან დაკავშირებით.
6. ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციასთან კონსტრუქციული დიალოგისათვის მზადყოფნის სასურველ წინაპირობად მიგვაჩნია მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით დაკავებულ პოლიტიკატიმართა გათავისუფლება.
7. მიეცეს, კანონის თანახმად, ტელევიზიით სარგებლობის უფლება ყველა დაინტერესებულ მხარეს.

ამ ღონისძიებათა განხორციელება საქართველოში სამოქალაქო ომის თავიდან აცილების საწინდარია.

ვაცხადებთ, რომ ვინც წინ აღუდგება ამგვარ სამშვიდობო ინიციატივას, მას დაეკისრება მთელი პასუხისმგებლობა ძმათა შორის სისხლისღვრის გამო.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატები:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 24 სექტემბერი

- ა. იმნაძე
- ბ. შენგელაია
- გ. ჩორგოლიაშვილი
- დ. კანდელაკი
- ე. დვალისვილი
- ვ. სიჭინავა
- ზ. მელაშვილი
- თ. ლეკიშვილი
- ი. ადაშია
- კ. ნათაძე
- ლ. დისამინჯია



პუტინის გეოგრაფია THE ECONOMIST-ის თვალში

- | | |
|-----------------|------------------|
| ფ. კობერიძე | თ. პაატაშვილი |
| ს. კავსაძე | მ. კვანჭილაშვილი |
| რ. ლონდაძე | რ. გოცირიძე |
| პ. კოლუაშვილი | ა. სილაგაძე |
| ა. მარგიაანი | ა. ბობოხიძე |
| დ. ბერძენიშვილი | თ. დიასამიძე |
| დ. არევაძე | ვ. ჯაში |

ინტერვიუ ნოდარ ნათაძესთან

„საქართველო“: როგორ ხედავთ დღევანდელ დღეს?

ნ. ნათაძე: ამ კითხვას მრავალი განზომილება აქვს. ერთია, რა ხდება მსოფლიოში, ანუ რამდენად საჩვენოდ ვითარდება ე.წ. დიდი პოლიტიკა. მეორეა, რა პირი უჩანს საქართველოს დივერსანტი ხელისუფლების შეცვლას ერთ-ერთი მხარე. როგორ მიმდინარეობს რუსეთის გეგმაზომიერი შემოტევა ჩვენს ქვეყანაზე. ამ უკანასკნელში შედის ქართველების აგენტურული მუშაობაც რუსული გეგმების საპროპაგანდოდ, რასაც ეკრანებზე ვხედავთ. მაგრამ ახლა, მართალი გითხრათ, სულ სხვა მაწუხებს, რადგან უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. ახლა ვუყურე ეკრანზე, ვილა-ცა ბნელმა სექტანტმა რომ ოცდათვრამეტი ქართველი ახალგაზრდა ჯერ თურქეთში, მერე კანადაში გადაკარგა, გააბრიყვა და სიცოცხლე დაუმახინჯა, ცხოვრებისაგან გამოთიშა. სექტები სხვაც ვიცით. ერთია, მაგალითად, რომელსაც საქართველოში დღეს ყველაზე ფართოდ იცნობენ, როგორც აგრესიულს და მასობრივად მანვს. მაგრამ ის სხვაა! მისი წევრი და მქადაგებელი არაერთი მინახავს და შთაბეჭდილება დამრჩენია მუდამ, რომ ისინი გონებრივად ჩამორჩენილები არიან, ან უხარისხონი მაინც. ასეთებიც დაგვანებია, რა თქმა უნდა, მაგრამ ნაკლებად. იმ გოგონებს კი, „იმედის“ ეკრანებზე რომ გვაჩვენებს თხუთმეტი წლის წინანდელი ფოტოებით, თვალბში სულისა და გონების შუქი უკრთით. ისინი რომ იმ ვიდეო ბოროტმოქმედს დაუთმეთ, – ჩემი შთაბეჭდილებით, არანაირად არა უნდა გარბოს, – ეს არის ვერდიქტი და განაჩენი საზოგადოებისათვის მთლიანად, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, იმათთვის, ვისაც პროფესიით, ან მოწოდებით, ან ორივეთი ერთად, ადამიანთა სულსა და ფსიქიკაზე ზრუნვა ავალბათ – რა თქმა უნდა, მოაზროვნეთა, „ანალიტიკოსთა“ და მხატვრულ „შემოქმედთა“, „პოლიტიკოსთა“, საზოგადოების გულისა და გონების ყველა სხვა ამყოლიებელთა ჩათვლით. საზოგადოებაში საკმარისად საინტერესო გარემო და შინაარსიანი ცხოვრება ვერ შეუქმნა იმ ახალგაზრდებს და ამით უბიძგა მათ ჰორიზონტდამწეული და სულიერად ბეცი ვიგინდარას ხაფანგისაკენ. ეს გადაცემა, გარდა იმისა, რომ ტრაგიკულია, თავმოყვარე ადამიანისათვის შეურაცხმყოფელიც არის. თუ,

რასაკვირველია, ეს ადამიანი გულწრფელია. მაგრამ თქვენ კითხვებს ამით, რა თქმა უნდა, სიმძაფრე არ აკლდება. რით დავიწყეთ?

მსოფლიო პროცესები

საქ.: ალბათ, მსოფლიო პროცესებით. ეს ბუნებრივია.

ნ.ნ.: დიდი ხანია არსებობს პროგნოზი, რომ რუსეთს არ მოამშვენენ, მაგრამ აღარ მიუშვებენ, რომ კვლავ მსოფლიოს ერთერთი სუპერძალა გახდეს. რუსეთმა ნავთობისა და გაზის ფასების ზრდით ტრილიონები მოიპოვა. გაძლა კიდევ. ახლა სუპერძალის პოზიციაში დაბრუნება უნდა. ამით დასავლეთთან წინააღმდეგობაში მოდის. მაგრამ მსოფლიო ძალთა განლაგების თვალსაზრისით იგი კონკურენტუნარიანი არაა, ყოველ შემთხვევაში – პირველხარისხოვან ძალებთან მეტოქეობისუნარიანი მაინც ვერ გახდება. ეკონომიკა ვერ შექმნა ვერც ტექნოლოგიური დონის მხრივ, ვერც ტექნოლოგიური წინსვლის ორგანიზაციული მექანიზმებისა და ინტელექტუალური სტიმულირების მხრივ, ანუ მეტოქეების დაწვევა ვერ შეძლო. ვერც შეძლებს. ჰუმანიტარული და პოლიტიკური თვალსაზრისითაც რუსეთი იმავე „ბოროტების იმპერიად“ დარჩა, რაც საბჭოთა ეპოქაში იყო: ამბობებულ ჩენებს რუსეთის სახელმწიფო გენოციდს უწყობს და მოსახლეობა ტაშს უკრავს; პუტინი ექვმიტანილია საკუთარ მოქალაქეთა აფეთქებაში ჩენებისათვის შარის მოღების მიზნით და ერი ამაზეც ტაშს უკრავს! სხვა რამ საკუთარი გამორჩეული მასხაიათებელი პუტინის პრეზიდენტობას არ გააჩნია, მაგრამ პოპულარობით და რეიტინგით საკუთარი ქვეყნის შიგნით იგი მაინც აგვისტოს ომამდე და მისი პირველი ლოგიკური შედეგის დადგომამდე პირველთაგანი იყო მსოფლიოს პრეზიდენტებს შორის. ამით რუსეთის საზოგადოება მხილებულია მსოფლიოს წინაშე მორალური თვალსაზრისით. მაგრამ შეუძლია თუ არა აეთნაირად განწყობილ რუსეთს მსოფლიოზე გამარჯვება პრაქტიკულად? არა, არ შეუძლია. ამ რეჟიმის პატრონი სტალინიც კი დამარცხდა კორეის ომში (ამიტომაც მოკლეს). მით უმეტეს, გამარჯვება არ ძალუძს რეჟიმს დღეს პუტინის ხელში. უკუპროცესი, ანუ რუსეთის უკან-უკან სვლა უახლოეს წლებში ბუნებრივია,

რადგან ბუნებრივია და ამავე დროს მყარია, სათანადო ძალთაშემატებელი დასავლეთის რეალური საარსებო ინტერესი, რომ ბოროტების იმპერია თავისი ძალით ვერ აღდგეს.

საქ.: მედვედევსა და ობამას შეხვედრაც ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ნ.ნ.: დიას. რუსეთი სიტყვით დაამცირეს. უთხრეს: გავლენების ზონათა დრო წავიდა. რაც გინახავს, ვეღარ ნახავ. მოგიწოდებთ, შენი აქტი საქართველოს ნაწილთა დამოუკიდებლობის ცნობისა გადასინჯო. ამ დონის შეხვედრაზე ამ სახით ნათქვამი სიტყვა საქმეს უდრის.

საქ.: მას თქვენ ფიქრობთ, რომ რუსეთის ძალა ვეღარ აღდგება?

ნ.ნ.: ვერა, რადგან ძალაც დასავლეთის მხარეზე შეუღარებლად მეტია და ინტერესიც მიმდინარე ჭიდაობის მოგებისადმი არანაკლებია, ვიდრე რუსეთისა და მისი მოკავშირეებისა. კონკრეტულად ჩვენს რეგიონში მეტიცაა. ეს განსხვავება მზარდია. რუსეთისთვის ხელსაყრელი ერთადერთი დიდი ფაქტორი კი – ის, რომ რუსეთი ახლოსაა, – ტექნიკური განვითარების კვლადაკვალ ნაკლებ მნიშვნელოვანი ხდება. ის, რომ რუსეთთან ურთიერთობაში დასავლეთი დღეს გაბუტვის მეთოდს არ მიჰმართავს, ანუ რუსეთთან ლაპარაკზე უარს არ ამბობს, არ ნიშნავს, რომ ინტერესთა შეურიგებლობა არ არსებობს ან რბილდება. პირიქით: იმის განცხადება, რომ საქართველოს თემა განხეთქილების ვაშლად დარჩა მხარეებს შორის, იმას ნიშნავს, რომ წინააღმდეგობა შეურიგებელია. რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირებისა და „კვანძის გახსნის“ პროცესი დროში შეზღუდულია, ანუ დასავლეთს თავისი სტრატეგიული მიზნისთვის დრო შეზღუდული აქვს. არის კონკრეტული გარემოებები, რომლებიც ამას განაპირობებს: ეს განლაგებულია ეკონომიკური ზრდის ტემპი (10%-ზე მეტი წლიურად) და მიმართულება, რაც დასავლეთს იძულებულს ხდის, რომ რუსეთის სამხედრო პოტენციალის დაქვეითებისთვის დროულად იზრუნოს – მეტაფორულად რომ ვთქვათ, მისი განიარაღების ძალისხმევა დროულად მოახდინოს. „დროულად“ ნიშნავს „მანამდე, სანამ ჩინეთი აღჭურვილი გამოვიდოდეს ველზე“, და „მანამდე, სანამ

ჩინეთის ეკონომიკა ჯამურად ამერიკულს გაუთანაბრდებოდეს“, რაც 2020-25 წლისთვისაა მოსალოდნელი. ამერიკულ-რუსული ბირთვული მოლაპარაკებების მომავალი თემები და მოტივები ჩვენში დეტალურად არაა ცნობილი, მაგრამ სავარაუდოა, რომ ბირთვული იარაღის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურების პროგრამაც, რომელზედაც ახლა აშშ რუსეთთან უკვე საუბრობს და რომლის ჩატარების უზარმაზარი ხარჯიც ალბათ აშშ-ს მიერ იქნება გაღებული, ამ ამოცანის კონტექსტში უნდა იყოს განხილული.

საქ.: ე.ი. რუსეთის მრავალთვიანი ბაქი-ბუქი ფუჭია? გამოდის, რომ მისმა დიპლომატიამ ლაპარაკის კილო სწორად ვერ განსაზღვრა?

ნ.ნ.: დიას, ვერ გამოდის. ლავროვი ვაჟკაცობდა მიკროფონთან და კამერების წინ. მაგრამ ვერც ერთი მოწინააღმდეგისაგან გრამისოდენა დათმობა ვერ მიიღო. ამბობენ იგი თბილისელი ჩარჩების ჩამომავალია. ჩარჩი იმით განსხვავდება ვაჭრისაგან, რომ თავის მოგებას მუშტრების სათითაო გაცურებაზე აგებს, ვაჭარი კი სწორ ზოგად გათვლაზე. ჩარჩს ვაჭრისა ემინია. ამიტომაც ლავროვის თბილისელი წინაპრები უშლიდნენ საქართველოს დაახლოებას ევროპასთან. ლავროვსაც ასე მოუვიდა: წვრილმანებში „გაიბრიქა“, მსხვილმანში კი ნოლზე დარჩა.

საქ.: ჩვენთვის რა აზრი აქვს ყოველივე ამას, თუ რუსეთი ჯარს არ გაიყვანს საქართველოდან? დასავლეთი ხელს ხომ არ აგვადებს?

ნ.ნ.: მართალი ბრძანდებით, აზრი არა აქვს. მაგრამ დასავლეთი რომ ხელს არ აგვადებს, უკვე ნათელია. რუსეთი ჯარს გაიყვანს. დასავლეთის პოზიცია გამოთქმულია ცალსახად და თეორიული ალბათობაც კი არაა იმისა, რომ ეს მხოლოდ ურთიერთვაჭრობის ილეთი იყოს დასავლეთის მხრიდან. რუსეთის ჯარის არგაყვანა იმას ნიშნავს, რომ რუსეთი იბრუნებს თავისი საბჭოთაკავშირის-დროინდელი ტერიტორიების რაღაც ნაწილს. ამავე დროს იმას ნიშნავს, რომ ბაზას იქმნის კავკასიონის სამხრეთით ანუ იღებს მესამე მსოფლიო ომის ძირითადი არტერიის – ამიერკავკასიის დერეფნის – გადაკეპვის შესაძლებლობას. მოსალოდნელია, რადგან

ლოგიკურია ასეთი კითხვა: თუ არ გაიყვანა? მაშინ რაღა მოხდება: დასავლეთი იომებს საქართველოსთვის? ამ კითხვას ორი პასუხი აქვს, ერთი-ორის შემავსებელი. ჯერ ერთი, დასავლეთი თუ იომებს, იგი იომებს არა საქართველოსთვის, არამედ მესამე მსოფლიო ომის, – უკვე დაწყებული, – მოგებისთვის. მეორე: ამ კონტექსტში, რომელშიც ამჯერად ვმსჯელობთ, საქმე ეხება არა მხოლოდ ომს, როგორც მიზნის მიღწევის მეთოდს, არამედ თვით ამავე მიზნის მიღწევის სხვა საშუალებებსაც ომის გარდა, სხვადასხვა სახის ზეწოლათა ჩათვლით. კითხვის დასმა, „დაიწყებს თუ არა დასავლეთი ომს“, და ამაზე შეჩერება არაა ლოგიკური, ისევე, როგორც არ იყო შევარდნაძის მმართველობის ბოლო წელს კითხვის დასმა: „რატომ არ უნდა იყოს სააკაშვილი პრეზიდენტი?“ ნაცვლად კითხვისა „რატომ უნდა იყოს სააკაშვილი პრეზიდენტი?“. ანუ კითხვა ასეც უნდა დაისვას: „რუსეთი დაიწყებს ომს დასავლეთთან იმისთვის, რომ საქართველოს ცხინვალის და აფხაზეთი წართვას?“ აქ ისევ პირდაპირ მივდივართ ზემოთ ნახსენებ შედარებამდე: „ორთაგან რომელს – დასავლეთს თუ რუსეთს მისი მოკავშირე ჩინეთთან და მუსლიმანური ქვეყნებთან – აქვს მეტი ძალა? რომელს ამ ორთაგანს აქვს უფრო დიდი დაინტერესება ამ რეგიონით?“. მთავარია სწორედ ეს კითხვები. რუსეთისთვის დასავლეთთან ომის დაწყება თვითმკვლელობას ნიშნავს. დასკვნა ნათელია: რუსეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაჯიუტდება ბოლომდე და თავის აგრესიულ მონაპოვარს ცხინვალისა და აფხაზეთის სახით ბოლომდე ჩაეჭიდება ეკონომიკური და დიპლომატიური ზეწოლის პირისპირ, თუ მის მმართველებს რაღაცა მათზე აღმატებული დაუძლეველი მისტიკური ძალა მოსთხოვს რუსეთის თვითმკვლელობაზე წაყვანას. ეს ალბათ არ მოხდება, თუმცა გამორიცხულია არაა.

საქ.: შეიძლება თუ არა ასეთი ძალა რუსეთის გენერალიტეტი იყოს?

ნ.ნ.: შეიძლება. ისიც შეიძლება, რომ რუსეთის დღევანდელი დაუნდობელი, მაგრამ კომიკური მმართველები ასეთი ძალის მხოლოდ იარაღი იყოს.

რაა რუსული სცენარები?

საქ.: ახლა შეგვიძლია შემგავრძელება მე-9 ვერსიზე

საქართველო

გამართლებულ ნებაზე. მოწინააღმდეგეებმა და მყურებელმა უცხოელებმა უნდა დაინახონ, რომ მომიტიინგეებს გააზრებული და მათთვის, დემოკრატი უცხოელებისათვის, გასაგები და მისაღები პროგრამული განზრახვები აქვთ.

სისხლის დაღვრის სიზავითი

გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იყოს რეალური მდგომარეობა. ქართველ ერში (სხვებზე აქ აღარ ვლაპარაკობ) დღეს, სამწუხაროდ, ნორმაზე ბევრად უფრო მაღალია იმპათი პროცენტი, ვინც მზად არის, თუკი სათანადო დაფინანსება ექნება, გაწყვიტოს ერის დანარჩენი ნაწილი. ეს იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილსა და მის ხროვას თავისუფლად შეუძლიათ ე.წ. „სიკვდილის ბატალიონების შექმნა“, გაწვრთნა, დაფინანსება და ფსიქოლოგიური მოტივირება. ერთადერთი, რასაც ამ უკანასკნელთა პირადი შემადგენლობა შეიძლება ანგარიშს უწევდეს, არის ძალა და სასჯელის შიში. ამ ყოველად დაუნდობელი ზოგადეროვნული საშიშროების დასაძლევად, გრძელვადიანი ანგარიშით, საჭიროა შეგნებული ადამიანების შეღწევა ხროვის ინტერესთა (და არა სახელმწიფოს ინტერესთა) დაცვისთვის განკუთვნილ სტრუქტურებში და მათი პირადი შემადგენლობის შედარებით ჯანსაღი ნაწილის გადმოყვანა, თუ გნებავთ – გადმობირება მოქალაქობრივი ჯანსაღი შეგნების გზაზე. რაც შეეხება მოქმედების მოკლევადიან შესაძლებლობებს, მიტინგის დაცვის მიზნით მასზე თავიდანვე უნდა იყოს გაცხადებული რაც შეიძლება ოფიციალურად, წინასწარ და ორგანიზატორთა მიერ მომზადებული ბეჭდური ტექსტით, რომ არც ერთ ძალოვანს, რიგითის ჩათვლით, ამა და ამ კანონის ძალით არ ევალითება და არ შერჩება მიტინგის წინააღმდეგ მიმართულ ამა და ამ მოქმედებათა ჩადენა. სააკაშვილი და მისი ხროვა რომ ხელისუფლებაში დიდხანს დამორჩნები ვერ არიან, ეს საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია, ასევე პოლიციელებისა და სხვა ძალოვნებისთვისაც. მათი პირადი შემადგენლობის თვალის ახელის ეს ხანგრძლივი ოპერაცია ერთ დღეში ვერ შესრულდება, მაგრამ მისი შესრულება შეძლებისდაგვარად ნაყოფიერი და დატვირთული სახით ცხრა აპრილის მიტინგზე უნდა დაიწყოს.

არსებითია არა იმდენად მიტინგის მონაწილეთა რაოდენ-

ობა (მასა დღეს მსოფლიოში არავის აღარ უკვირს), რამდენადაც მათი ხარისხი: მიტინგის ეფექტიანობისათვის მკაფიოდ უნდა გამოჩნდეს, რომ მიტინგს აქვს თავისი „ფოლადის ღერძი“, ანუ რალაცა ნაწილი, რომელიც ტროტუარზე რაზმად დგას, და არა უბრალოდ მასად, ანუ მოქმედებს შეწყობილად და არ გარბის პირველი უკანონო დასტვენისთანავე. არსებითია, რასაკვირველია, ორგანიზატორთა მიერ მონაწილის დაცვის ხარისხიც: ის, ვინც იმ ფოლადის ღერძის ნაწილია, პასუხისმგებელი უნდა იყოს მონაწილეთა გაფრთხილებაზეც მოახლოებული ხიფათის შესახებ, მისთვის დერეფნის დაცვაზეც საჭიროების შემთხვევაში და დამნაშავეთა, ანუ დაუშვებელი მეთოდის გამოყენებულ რიგითთა და ოფიცერთა, შემდგომში სამართლებრივი დევნის ხარისხზეც უბედურების შემთხვევაში.

„წადი, წადი“ არ კმარა არც მიტინგის შინაარსობრივ სტრუქტურად, არც მის სტრატეგიად. უნდა იყოს წინასწარ გაცხადებული, რა ფორმით იმედოვნებს – და უნდა ან შეიძლება იმედოვნებდეს – მომიტინგე, რომ კრიმინალი და მოლაღაპრე პრეზიდენტი გააძევის? იძულებით, რომ, როგორც კი ცოტა დაფრთხება, ხელი მოაწეროს გადადგომას, როგორც შევარდნამდე მოაწერა, როცა ჩიხში აღმოჩნდა? ალბათ, არა. მას მიტინგმა კონკრეტულად უნდა მიუთითოს ხელისუფლებიდან წასვლის მთელი გზა, ანუ დერეფანი უნდა მოუმზადოს მისი დღევანდელი სავარძლიდან გარეთკენ ან ციხის საკნისაკენ ისეთი ფორმით, რომელიც იურიდიულად სწორია, პოლიტიკურად მომგებიანია და სტაბილობის შეურყველობის თვალსაზრისით ოპტიმალურია. ამ გზისა და მისი გეგმის სისწორე და ხარისხი მომიტინგეებისათვის თვალსაჩინო უნდა იყოს და მომთხოვნი გარეშე მყურებლის თვალში – უხინჯო. ამ გეგმის შედგენისას უნდა გათვალისწინებული იყოს, რომ ოურიდიულად და პოლიტიკურადაც ყველაზე უფრო სწორია, პირველ ყოვლისა, რეალური საარჩევნო კანონის მიღება, რომელიც არჩევნების გაყალბების ყველა ხერხებს ამოქოლავს. ეს კანონი, მისი ძირითადი პრინციპებისა და პროცედურის ფორმით, გამზადებული უნდა იყოს (რა თქმა უნდა, ძალიან მოკლე სახით) და მომიტინგეებს უნდა შეეძლოთ მისი იქვე წაკითხვა. დიქტატორის სისხლიანი ხელისუფლების იძულება, რომ იგი მიიღოს, რა თქმა უნდა, ნებით შეუძლებელია, იგი მას საზოგად-

ოვითი. მართალია, ამ საკითხში არ უნდა დავიმოწმეთ ანდაზა „გარიგება ხენაში ვოზბილი“ – ეს არ იქნება სწორი, რადგან საქართველოს გადარჩენის ამოცანა „გარიგება“ არ არის. მაგრამ ის კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს გადარჩენის მიზანი, როგორც ვთქვით, ნეგატიური კი არ არის, არამედ პოზიტიურია, აღმშენებლობითია. ეს თუ დავიწყებას მივცა და პროცესები თავის ნებაზე წარიმართა, მაშინ სააკაშვილის და მისი ხროვის ნაცვლად ხელისუფლებაში მათზე არანაკლებ მძარე, მოლაღაპრე და სარბი ჯგუფი შეიძლება აღმოჩნდეს. შეიძლება კი არა, ნამდვილად აღმოჩნდება. ეს, სხვათა შორის, ძალიან ფართო მასას შესანიშნავად ესმის. საერთო ენის გამოწვავაში, რასაც საზოგადოება კატეგორიულად ითხოვს პარტიებისაგან და რაც, რა თქმა უნდა, მართლაც უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა, არსებით როლს უნდა თამაშობდეს პროგრამული თანხმობა ერთმანეთს შორის. სახელმწიფოს მშენებლობის რალაცა ძირითად პრინციპებზე თანხმობა წინასწარვე უნდა არსებობდეს, თუკი რეალიზმის საზღვრებში დარჩენა გვინდა. მაგალითად, ყველა უნდა იყოს თანახმა იმაზე, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სახელმწიფოს უპირობო და უპირველესი მიზანია, რომ ტრეფიკინგსა და ნარკობიზნესს განადგურება სჭირდება ყველა საშუალებით, რომ საქართველოს კონფედერირება დაუშვებელია, რომ კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორია, რომ სამშობლოს დაცვა ყველა მოქალაქის მოვალეობაა და ა.შ. და ა.შ. პროგრამული დებულებები, გავიგებოდეს, რეალურად საუკეთესოც უნდა იყოს ყველა შესაძლებელთა შორის და მსოფლიოს თვალისათვის მისაღებიც, რაც ჩვენი ქვეყნის პატრიოტული ძალებისათვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ქართველი პატრიოტის სულისკვეთება და დემოკრატი მოქალაქის სულისკვეთება დღესაც ერთმანეთს ემთხვევა ისევე, როგორც საქართველოს დღემდე ჩავლილი ისტორიის მთელ მანძილზე. შეთანხმება უნდა გრძელდებოდეს, როგორც მინიმუმი, რეალური კანონით რეალური არჩევნების დანიშვნის, სათანადო გუნდის საარჩევნო კომისიად დაკომპლექტების, ამ პროცედურის მანძილზე სახელმწიფო მართვისა და კურსის განსაზღვრისა და ორგანიზების და თვით არჩევნების განსრულებამდე. ამის იქით, რა თქმა უნდა, მონაწილე სუბიექტთა ამა და ამ ზომით თანამონ-

ოვითი. მართალია, ამ საკითხში არ უნდა დავიმოწმეთ ანდაზა „გარიგება ხენაში ვოზბილი“ – ეს არ იქნება სწორი, რადგან საქართველოს გადარჩენის ამოცანა „გარიგება“ არ არის. მაგრამ ის კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს გადარჩენის მიზანი, როგორც ვთქვით, ნეგატიური კი არ არის, არამედ პოზიტიურია, აღმშენებლობითია. ეს თუ დავიწყებას მივცა და პროცესები თავის ნებაზე წარიმართა, მაშინ სააკაშვილის და მისი ხროვის ნაცვლად ხელისუფლებაში მათზე არანაკლებ მძარე, მოლაღაპრე და სარბი ჯგუფი შეიძლება აღმოჩნდეს. შეიძლება კი არა, ნამდვილად აღმოჩნდება. ეს, სხვათა შორის, ძალიან ფართო მასას შესანიშნავად ესმის. საერთო ენის გამოწვავაში, რასაც საზოგადოება კატეგორიულად ითხოვს პარტიებისაგან და რაც, რა თქმა უნდა, მართლაც უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა, არსებით როლს უნდა თამაშობდეს პროგრამული თანხმობა ერთმანეთს შორის. სახელმწიფოს მშენებლობის რალაცა ძირითად პრინციპებზე თანხმობა წინასწარვე უნდა არსებობდეს, თუკი რეალიზმის საზღვრებში დარჩენა გვინდა. მაგალითად, ყველა უნდა იყოს თანახმა იმაზე, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სახელმწიფოს უპირობო და უპირველესი მიზანია, რომ ტრეფიკინგსა და ნარკობიზნესს განადგურება სჭირდება ყველა საშუალებით, რომ საქართველოს კონფედერირება დაუშვებელია, რომ კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორია, რომ სამშობლოს დაცვა ყველა მოქალაქის მოვალეობაა და ა.შ. და ა.შ. პროგრამული დებულებები, გავიგებოდეს, რეალურად საუკეთესოც უნდა იყოს ყველა შესაძლებელთა შორის და მსოფლიოს თვალისათვის მისაღებიც, რაც ჩვენი ქვეყნის პატრიოტული ძალებისათვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ქართველი პატრიოტის სულისკვეთება და დემოკრატი მოქალაქის სულისკვეთება დღესაც ერთმანეთს ემთხვევა ისევე, როგორც საქართველოს დღემდე ჩავლილი ისტორიის მთელ მანძილზე. შეთანხმება უნდა გრძელდებოდეს, როგორც მინიმუმი, რეალური კანონით რეალური არჩევნების დანიშვნის, სათანადო გუნდის საარჩევნო კომისიად დაკომპლექტების, ამ პროცედურის მანძილზე სახელმწიფო მართვისა და კურსის განსაზღვრისა და ორგანიზების და თვით არჩევნების განსრულებამდე. ამის იქით, რა თქმა უნდა, მონაწილე სუბიექტთა ამა და ამ ზომით თანამონ-

აზრების უზუნველყოფის ამოცანაც მოხსნის. ამაში უნდა ვხედავთ საქ.: თქვენი მსჯელობა გულისხმობს 9 აპრილის მიტინგის ისეთ ორგანიზატორებს, რომელთათვისაც მიზანია საქართველოს გადარჩენა. თუ მათი განწყობილება სხვაა, მაგალითად, წმინდა კარიერისტულია ან, კიდევ უარესი, მტრულ დავალებაზეა აგებული, მაშინ მათი მოქმედებაც სხვა იქნება. პირველ შემთხვევაში ეს იქნება ყველას ბრძოლა ყველას წინააღმდეგ, ჯგუფის კანონი, ანუ ყველა ლიდერი შეეცდება გასვლას, გაძრომას, თუნდაც დიქტატორ ხელისუფლებასთან გარიგების სახით, და სხვების ჩაძირვას. მეორე შემთხვევაში იმოქმედებს მხოლოდ იმ დამავლებელი უცხო ძალის შეკვეთა და მიტინგი წავა უაზრო გზით, რომელსაც სხვადასხვა დამავლებელთა ნების გადაკვეთა წარმოშობს.

ნ.ნ.: ამას ვერ გამოვიციხავთ. ამიტომაც საჭიროა, რომ თანამებრძოლთა არჩევაში, თუნდაც მხოლოდ ამ აპრილის მიტინგთან დაკავშირებით, პროგრამის თანხვედრის ფაქტორი რაც შეიძლება ძლიერად მოქმედებდეს და ამ პროგრამაზე პოლიტიკური სუბიექტის მიმართების ხარისხიც რაც შეიძლება მაღალი იყოს. ისიც კი დასაშვებია, რომ ყველა მონაწილე პარტიათა პასუხისმგებელი პირები შეთანხმებულ პროგრამულ დებულებათა ერთგულებაზე ფიცს დებდნენ იქვე. მონაწილეთა თვალწინ.

საქ.: პრეზიდენტობის უკვე გამჟღავნებულ კანდიდატთა ვინაობაზე და რაობაზე თუ გაქვთ თქვენი აზრი?

ნ.ნ.: სამწუხაროდ, მაქვს. უფრო სწორად, აზრი მაქვს ადებული როლისადმი მათი შესაფერისობის ხარისხზე, თორემ მათი პიროვნება რა ჩემი საქმეა. ნოლაიდელი პირდაპირი კარიკატურა უფრო მორალური თვალსაზრისით, ვიდრე პროფესიული და პოლიტიკურით, თუმცა ეს პიროვნება არც ამით ბრწყინავს. იგი ყვანისა გუნდის წევრია, რაც თავისთავად ძალიან არასახარბიელო დახასიათებას წარმოადგენს. „ესენგესთვის“ ხმის მიმცემია, ნათელაშვილთან ერთად, ანუ საქართველოს პირდაპირი დალატის ჩამდენი. „ესენგეში“ საქართველოს შესვლისთვის დილაკის თითოეულ დამკერს ხელზე თითხმეტხანხევარი ქართველის სისხლი სცხნია, როგორც მინიმუმი, მარტო გალის რაიონში რუსი „მემშვი-

გავრძელება მე-11 გვერდზე

საქართველო

დობების“ ხელშეწყობით დახმობისა მარტო 2000 წლამდე. ნოლიდელი 1995 წლის პარლამენტშიც შევარდნადის უმრავლესობაში იყო და კიდევ მრავალ სისამაგელეს აუწია ხელი. ეს, რაც ვითხარით, კერძო შემთხვევებია. უფრო არსებითია ზოგადი დახმობის, რომელიც პრეზიდენტობის სხვა მსურველებსაც ეხება: იგი მონაწილეა საქართველოს მიზანმიმართული ნგრევის იმ კურსისა, რომელიც შევარდნაძემ შემოიღო და სააკაშვილი დღემდე აგრძელებს. სახელმწიფო დამნაშავე იგი, პირველ ყოვლისა, ამით არის. ნათელაშვილს, ესენგისტობის და საერთოდ მეტიმეტი რუსულობის გარდა, ის ნაკლიც აქვს, რომ მისგან სახელმწიფოებრივი აზროვნების მაჩვენებელი რამე გამოვლინება პირადად მე ვერ არ მსმენია. ძალიან ცუდად მენიშნა ნინო ბურჯანაძის გამოსვლა-საუბარი თუ გამოსვლა-დაკითხვა „იმედის“ ეთერში. ჩაჰკითხეს ქონებაზე, მეუღლეზე, პოლიტიკურ დეტალებზე, მაგრამ არ ჰკითხეს მთავარი: რომ მონაწილეობდით ვერ შევარდნადის, შემდეგ კი სააკაშვილის გუნდში თუ ხროვაში საქართველოს შეგნებული ნგრევის პროცესში, მაშინ რას ფიქრობდით? (ამ კითხვას, რა თქმა უნდა, კონკრეტულ მაშინ მიღებულ ანტი-სახელმწიფოებრივ კანონთა მითითებაც უნდა ახლდეს). მიგანჩიათ თუ არა თავი სახელმწიფო დამნაშავედ? და თუ არა, რით ამართლებთ იმ ნაბიჯებს? ამ რიგის კითხვებზე პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დამაკმაყოფილებელ პასუხს, რა თქმა უნდა, ვერ გასცემდა.

ანალოგიური მოვლენა თვალში მეცა აქუბარდიასა და ბენდუქიძის ჭიკჭიკით შეხმატკბილებულ დიალოგში. აქუბარდიამ ისე ჩაატარა ლამის ორსაათიანი საუბარი ამ მართლაც სუპერდამნაშავესთან, რომ ერთხელაც არ წამოსცდა გამოთქმა „საქართველოს ეკონომიკის მიზანმიმართული ნგრევა“ და ამ საქმიანობის არც ერთი ეპიზოდი ამ ტიტულით არ დაასახელა, თუნდაც მტრული სახელმწიფოს, რუსეთის ხელში გადაცემული სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ამა თუ იმ ობიექტის დასახელების თანხლებით. მაყურებელს – მე მგონი, შეგნებულად, – დაუტოვეს ის შთაბეჭდილება, რომ ბენდუქიძემ აქუბარდია „გაანადგურა“, – რომ, მაშასადამე, ბენდუქიძის მიმართ საზოგადოებაში არსებული უმძიმესი ბრალდებები მართალი არ

ყოფილა. რა გამოდის? ბენდუქიძეც, ბურჯანაძეც და ალბათ კიდევ სხვანაც, როგორც შევარდნაძე-საკაშვილის ურთიერთშენაცვლებადი გუნდის თვალსაჩინო წარმომადგენლები, დღევანდელ ეკონომიკურ პრობაგანდაში – მაშასადამე, სამთავრობო პრობაგანდაში – თეთრდებიან, ე.წ. „ცხელი ფულივით“ ირეცებიან, რადგან მათი გათეთრება, რიკოშეტით, შევარდნაძე-საკაშვილის პოლიტიკის გათეთრებასაც ნიშნავს. მიაქციეთ ყურადღება, რომ არც ერთის, არც მეორის საუბრისას დიალოგში შემოსული ზარებით შემლა არ მომხდარა, აღშფოთებულ მაყურებელს არ მიეცა არც ამ პირთა მხილების, არც გულის მოფხანის საშუალება.

დასკვნა ნათელია. ამ „ყოფილთა“ ფრონდირება, ანუ მათ მიერ ოპოზიციონერობის თამაში, სამთავრობო პიარის ერთ-ერთი ნაწილია, მათი „დისიდენტური“ აქტივობა სხვა არა არის რა, თუ არ ერთი გუნდის მიერ პოლიტიკურ შოუში თავისი კადრით რამდენიმე სხვადასხვა ნიშის ერთდროული შევსების მცდელობა.

საქ: ალასანია?

ნ.ნ.: ალასანია ახალგაზრდაა, ენერგიულ შთაბეჭდილებას ტოვებს და, რაც მთავარია, ულაქია, ლაქა არა აქვს. დალაქავებული ვერც იქნება, რადგან პოლიტიკურ ცხოვრებას ახლა იწყებს. დღემდე მისი ცხოვრება მაყურებლისათვის ხილულ სივრცეში არ მიდის. სრულებით არაფერში არ ჩახედული ამომრჩეველი მასის თვალში ხარიზმის შეძენისათვის ეს ფაქტორები კმარა. პოტენციური მხარდამჭერი (არ ვიცი, ვინ) იტყვის „რატომ არ უნდა იყოს ეს ახალგაზრდა კაცი პერეზიდენტი?“ იმის ნაცვლად, რომ იკითხოს „რატომ უნდა იყოს ეს ახალგაზრდა კაცი პრეზიდენტი?“ მაგრამ სინამდვილეში მინუსები აქაიქ მასაც უკვე აქვს. ერთი ისაა, რომ მოკავშირეებად ყველაზე ცუდი ჯგუფი აირჩია: ქართველი რესპუბლიკელები ხომ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე უპრინციპო, უსამშობლო და უმორალო პოლიტიკანები არიან. გარდა ამისა, მათი მართვის რუსული ხაზებიც საკმარისად შეინიშნება. მაგალითად, მოწოდება, რუსეთს უნდა „მოველებარაკოთო“ (იგულისხმება: კონფედერაციაზე უნდა მოველებარაკოთო) აგვისტოს ომის შემდეგ პირველმა ლევან ბერძენიშვილმა შემოატურა აქუბარდიას ეთერიდან. მეორეც, ირაკლი ალასანიას არაფერის მიქმედი პროგრამული მონახაზი აქვს წარმოდგენილი თავის პრეზენტაციაზე. მესამეც, მისი დამ-

სახურებების თუ მონაპოვრების ის სამეღვინეობის ჩამონათვლი, რომელსაც მისი თაყვანისმცემლები და მოიმედები ასახელებენ – პანკისის ხეობა ჩვენებისაგან დაიცვაო, კოდორის ხეობაში კარგად იმოქმედაო და გაეროში კარგად იმუშავაო, არარეალურია: როცა ალასანია პანკისის ხეობაში მოქმედებდა, იქ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ანტისახელმწიფოებრივი და ანტიქართული პოლიტიკა ტარდებოდა: რამდენიმე ჩინევი მებრძოლი, საქართველოს სტუმარი, რუსებს ჩააბარეს, ანუ რუსებს შეუქმნეს საბაბი, რომ საქართველოში ნებისმიერ დროს დიდი ტერაქტები მოაწყონ და საქართველოზე ნაწყენ ჩინებს დააბრალონ. ირაკლი ალასანია თუ დიდ პოლიტიკურ როლს უძიხნებდა, უკეთესი იყო, იგი ამის გამკეთებელი გუნდიდან დემონსტრატულად გამოსულიყო და ამით ამ დანაშაულებრივ სამთავრობო პოლიტიკას გაჰმიჯნოდა. მის მეორე მონაპოვრად ასახელებენ მის მოქმედებას კოდორის ხეობაში. ამ ხეობაში ამ დროს მოხდა უდიდესი დღელბრუნვა – ამ ხეობის ერთადერთი დამცველის, ბატალიონ „მონადირის“ დამლა. ალასანიას კისერზე აქ არანაირი ბრალი არ არის, მაგრამ იგი ამ შემთხვევაშიც ვალდებული იყო ან ეს არ დაეშვა, ან თავისი პასუხისმგებლობა მოეხსნა და თანამდებობიდან წასულიყო. რაც შეეხება მესამეს – მის მოღვაწეობას გაეროში – იქ მისი ხილული როლისა და დეაქტისა არაფერი ვიცი, ამ პარამეტრში იგი უჩინარი რიგითი მოხელეა. დიდი ხელისუფლების პოლიტიკა კი იქ დანაშაულებრივია თავისი პასიურობის გამო, ანუ რუსული აგრესიული როლის დროულად და ოფიციალურად არდაფიქსირება გამო. თაყვანისმცემლები ამბობენ „აფხაზებთან საერთო ენა გამონახაო“, მაგრამ ამ საერთო ენით რა ითქვა და რა არ ითქვა, ჩვენ არ ვიცი. ამ მხრივ პირადად მე დიდი ოპტიმიზმი არა მაქვს. ტელემყურებელზე, უდავოდ, არა ალასანიას სასარგებლოდ იმოქმედებდა მისი მხარდაჭერა კარგა მაგრად „მოფაფხალებული“ (როგორც იტყვიან) კოტოვანის მიერ, მაგრამ ეს ფეკტი მე მისი მტრის მიერ „ჩაწყობილად“ უფრო მესახება, ვიდრე ბუნებრივ მოვლენად.

საქ: მაგრამ ამბობენ, რომ გაეროში ყოფნისას ამერიკელებთან ძალიან კარგი ურთიერთობა დაამყარა.

ნ.ნ.: ვიცი. მაგრამ რა შინაარსობრივ ბაზაზე დამყარდა ეს კარგი ურთიერთობები, არ

ვიცი. ეს, რაზეც ახლა თქვენ ლაპარაკობთ, ჩვენი ყველაზე რთული პრობლემაა. ამერიკელები ჩვენი ნამდვილი მოკავშირეები მართლაც არიან: ჩვენს რეგიონში ჩვენ მართლაც ფუნდამენტური საერთო ინტერესები გვაქვს. მაგრამ ამერიკელები დღემდე საქართველოს იზილავენ, როგორც ცარიელ მიწა-წყალს და არა როგორც მოკავშირეებს და სახელმწიფოს. ვერც გაამტყუნებ: ის ადამიანები, ვისთანაც კონტაქტში არიან ჯერ ერთი და შემდეგ მეორე პრორუსული ხროვის სახით, მართლაც სიცარიელე არიან. ჩვენი უმძიმესი ამოცანაა, ისინი „დავითანხოთ“, „დავარწმუნოთ“, „ვაიძულოთ“ – რომელ სიტყვას ვიხმაროთ, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს – რომ საქართველოს პირველადი განხილვიდან მეორენაირზე გადავიდნენ, ანუ საქართველოს შეჰხედონ, როგორც ქმედუნარიან მოკავშირეს და არა სიცარიელეს. ეს შესაძლებელია იმიტომ, რომ საქართველოს ეს მეორენაირი განხილვა ამავე დროს რეალურად შეესატყვისება ამერიკის ინტერესებსაც და მსოფლიოსასაც.

„ტირანის მოცილება“

საქ: ხომ არაფერს დაუმატებ?

ნ.ნ.: დიახ, დაუმატებ. უნიჭო და ორგული ტირანის მოცილების პრობლემა მართლაც იკავებს ზოგჯერ ცენტრალურ ადგილს ერის პრობლემათა შორის, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდება. ამ პრობლემის გადასაჭრელად გიონივრული პოლიტიკის დროს მასის მობილიზება არ ხდება. ეს არაა რეგულაცია, ეს ელიტარული ამოცანაა. მას გამართული პოლიტიკური ძალა წერტილვანი დარტყმით წვევებს და არა პოზიციური ომით, – როგორც მაქსიმუმი, ე.წ. სასახლის გადატრიალებით. თუ მოქალაქე პოლიტიკური ლიდერის დონეზე გაიხარდა, იგი ეროვნული ძალისა და ენერჯის ფლანგვას მოერიდება. ადამიანთა ფართო მასის ჩაბმა პოლიტიკურ ქმედებაში – ისიც, რა თქმა უნდა, ორგანიზებული და დარაზმული სახით და არა უფორმოდ – ხდება მხოლოდ მაშინ, როცა საჭიროა მთელი სისტემის შეცვლა, კურსის შეცვლა, საზოგადოების თვითწყობისა და სტრუქტურის გარდაქმნა. ქუჩა ძლიერი იარაღია, მაგრამ მხოლოდ ერთია იარაღთა შორის. ბრძოლის მოსაგებად იარაღთა მთელი სპექტრი უნდა გქონდეთ. ტანკი, მაგალითად, ძლიერი იარაღია, მაგრამ ტანკის ამარა, თუ სხვა აიარაღი არ გამაჩნია, ყველა ომს წავაგებ კლდოვან რე-

ლიეფზე, ტყეში და ავიაციის წინააღმდეგ. ეს არ ნიშნავს იმის თქმას, რომ ტანკი არ უნდა გამოიყენო. ტანკი უნდა გყავდეს. მაგრამ თუ მხოლოდ ტანკი გყავს, უნდა იცოდეთ, რომ ძალიან შეზღუდული შესაძლებლობების პატრონი ხარ და ამოცანაც შესაბამისი უნდა დაისახოს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ მტერი პოლიტიკურ იარაღთა ძალიან მრავალ სახეობას ფლობს. მაგალითს მოვიყვან. რატომ იხმარა სააკაშვილმა შარშანწინ 7 ნოემბერს მსუთავი ვაზი? ალბათ, იმიტომაც, რომ რუსეთს უნდოდა გერმანიისათვის საკმარისი საბაბი მიეცა, რათა ნატოს მომავალ სამიტზე, მომდევნო წლის იანვარში, საქართველოსთვის ნატოს წევრობაზე უარი ეთქვა. უთხრა კიდევ. ძალიან დიდი ალბათობაა, რომ იგივე კომბინაცია ამჯერადაც ჩატარდეს. მაგრამ ეს რუსული ამოცანის მხოლოდ ერთი მხარეა. ამისგან დამოუკიდებელი, ცალკე ამოცანაა, რომ რუსეთს – რაკილა დიდი ომისათვის მზაობის სიმულაცია გადაუწყვეტია – „საბაბი“ მიეცეს სამხედრო მოქმედებათა განახლებისათვის, რისთვისაც საჭიროა, რომ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ გაისროლოს, რუსეთის რაიმე გამლიერებული პროვოკაციის საპასუხოდ, იქ, სადაც რუსი უბრძანებს, და იმ ჭურვის გამოყენებით, რომელსაც რუსი უბრძანებს. ამ საკანგაშო პესპექტივის არაპირდაპირი მანიშნებელი იყო ამ რამდენიმე თვის წინ თავდაცვის დარგში მაღალ თანამდებობაზე ისეთი პირის დანიშვნა, ვისაც, ერთადერთი, მხოლოდ იმის კვალიფიკაცია და მიდრეკილება აქვს, რომ, როგორც იტყვიან, „ყველაფერი იკადროს“. ეს „კიდევ ერთი გასროლა“ ჯერ არ მომხდარა და შეიძლება აღარც მოხდეს, რისი მიზეზიც, შესაძლოა, ის არის, რომ რუსეთს შიგნით უფრო დამაბული ვითარება აქვს, ვიდრე ჰსურს. მაგრამ ეს არ უშლის ხელს, რომ სისხლისღვრის პროვოცირება რუსეთმა ეძებოს სხვაგანაც, სახელდობრ, ხელისუფლების მიერ მოქალაქეებისათვის ცეცხლის განსხვევების სახით. ამ მხრივ ცუდი ნიშანია ის, რომ ზოგი „პოლიტიკოსი“ და პრეტენდენტი, ვისაც არც ბოროტებისათვის და არც, მით უმეტეს, სიკეთისათვის დღემდე არანაირი საბძოლო თვისებები და სულისკეთება არ გამოუმჟღავნებია, დღეს იარაღის უღარუნის ტონალობაში ლაპარაკობს. ხომ არ მიგვანიშნებს ეს იმაზე, რომ ამ „პოლიტიკოსებს“,

გვერდი 12 მე-12 გვერდზე

შრომის ბაზარი საქართველოში

ნორმატიული აქტები, სოციალურ-ეკონომიკური ნორმატივები და შრომის უზღაურების დამცავი მოძრაობა

დავით არაბიძე,
განათლების ეროვნული კავშირის მდივანი, მასწავლებელთა თავისუფალი პროფესიული კავშირის საბჭოს წევრი

„საკუთარი თავისა და ქვეყნის უძრავ-მოძრავი ქონების ბატონობა, დაგეგმარებისა და რესურსების განაწილების, აგრეთვე პარტნიორი ქვეყნების არჩევის თავისუფლება, ერთუზიანობა და გამომონებლობა, ინდივიდუალობით აღბეჭდილ თავისუფალ მწარმოებლობას რომ ახლავს თან, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საესეებით ახალ განზომილებებს გულისხმობს“.

მერაბ კოსტავა
გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989 წლის 6 ოქტომბერი

ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებში შრომის უფლებას გამორჩეული ადგილი უკავია. ადამიანი მხოლოდ შრომით ახდენს თავისი შემოქმედებით სულის ნაყოფიერ გამოხატვას. მაგრამ ესმის კი ეს თავისუფალი ბაზრის ეთიკას?

გლობალიზაციის პირობებში საქართველოს ეკონომიკა უდიდესწილად არის დამოკიდებული უცხოური კაპიტალის იმპორტზე. ქართულ ეკონომიკას უკვე შეიძლება ეწოდოს უცხოელთა მონახურების ინდუსტრია – FREM-DENINDUSTRIE, ტრანსნაციონალური ინტეგრირებული ბიზნეს-ჯგუფების როლისა და მნიშვნელობის ზრდის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პროფკავშირული მოძრაობის გამლა. ამ მოძრაობის გამლა ბოლოს მოუღებს სოციალურ დემოკრატისა და სოციალურ მიმიკრიას ქართულ სინამდვილეში, რომლებიც ასე ძალუძად დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად. 1989 წლის მდგომარეობით პროფკავშირებში 2 600 000 ადამიანი ირიცხებოდა. იმჟამინდელმა „ლიდერმა“ პეტრე ჩხეიძემ მხოლოდ აბრა გამოუცვალა ამ დიდ გაერთიანებას, უწოდა რა მას „დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია“, მაგრამ მასში არ განხორციელებულა რადიკალური, მათ შორის – იდეოლოგიური რეფორმირება. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ სიგუა-კიტოვან-იოსელიანის „ტრი-უმიერატმა“ მინი-გადატრიალება პროფკავშირებშიც მოაწყო და ამ გადატრიალების შედეგად პროფკავშირების გაერთიანებას სათავეში „კოოპერატორი“ ირაკლი ტულუში ჩაუყენა. პროფკავშირების წევრებმა და ქონებამ „აორთქლება“ იწყო. იმის მაგივრად, რომ დამდგარიყო სოციალური პროტესტის ავანგარდში, ირაკლი ტულუში პარლამენტში შესასვლელად გაემზადა. 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებისას მან შექმნა საარჩევნო სუბიექტი „პროფკავშირები არჩევნებზე“, შედეგი კი ის იყო, რომ 3121075 ამომრჩევლიდან მისმა საარჩევნო სუბიექტმა 6969 ხმა მიიღო. სხვა, ალბათ, პროფკავშირების ლიდერის პოსტიდან თავდა გადადგებოდა, მაგრამ არა ირაკლი ტულუში. იგი პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის პოსტს მხოლოდ 2005 წლის სექტემბრიდან გამოეშვილდა და ისიც – მინი „ვარდების რევოლუციით“. დღეს პროფკავშირების გაერთიანებას ირაკლი პეტრიანშვილი ხელმძღვანელობს. ის, რომ იგი საპირველმართო მიტინგზე ანტიპუმიანური და ანტი-სოციალური შრომის კოდექსის მაკეტს წვავს, კარგია, მაგრამ მშრომელები გაცილებით მეტს, კერძოდ, საერთო ეროვნული გაფიცვის ორგანიზებას ელიან, რათა ბოლო მოეღოს 2006 წლის 25 მაისს ნინო ბურჯანაძის თვმჯდომარეობით მიღებულ და მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელმოწერილ დრაკონულ „შრომის კოდექსს“.

მენტო არჩევნებისათვის მან შექმნა საარჩევნო სუბიექტი „პროფკავშირები არჩევნებზე“, შედეგი კი ის იყო, რომ 3121075 ამომრჩევლიდან მისმა საარჩევნო სუბიექტმა 6969 ხმა მიიღო. სხვა, ალბათ, პროფკავშირების ლიდერის პოსტიდან თავდა გადადგებოდა, მაგრამ არა ირაკლი ტულუში. იგი პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის პოსტს მხოლოდ 2005 წლის სექტემბრიდან გამოეშვილდა და ისიც – მინი „ვარდების რევოლუციით“.

ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებში შრომის უფლებას გამორჩეული ადგილი უკავია. ადამიანი მხოლოდ შრომით ახდენს თავისი შემოქმედებით სულის ნაყოფიერ გამოხატვას. მაგრამ ესმის კი ეს თავისუფალი ბაზრის ეთიკას?

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მე-8 მუხლის „ორსულობისა და ბავშვის შეძენის შემთხვევაში დასაქმებულ ქალთა სოციალური დაცვის შესახებ“ 1 და 2 პუნქტების არარატიფიცირება, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის არარატიფიცირება, რითაც სახელმწიფომ უარი თქვა საშუალო განათლების მიცემასა და ბავშვთა და მოზარდთა გაკვეთილებზე დასწრების უზრუნველყოფაზე. სამაგიეროდ, დაარატიფიცირეს მე-19 მუხლი, რითაც გზა გაუხსნეს უცხოურ მუშახელს ქართულ შრომის ბაზარზე, მაშინ, როცა საქართველოს მოქალაქეთა შორის ასეთი დიდია უმუშევართა რიცხვი და არც მათი პროფესიული მომზადება-გადამზადების ეფექტური სისტემა არსებობს.

მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში გზა ხსნილი აქვს შიმშილის დისციპლინაზე დამყარებულ შრომას, დემპინგურ სოციალურ სტანდარტებს, არაფორმალურ შრომას, შრომის უსაფრთხოების სისტემის არარსებობას, ბიუროკრატიულ ვოლუნტარიზმს, შრომითი დავების მოგვარების მექანიზმის არარსებობას, დამსაქმებლის სუბიექტივიზმის თავისუფლებას, მშრომელთა ტოტალურ იზოლაციას საკუთრებისა და მოგებისაგან. ეს პრობლემები დიდ განსჯას მოითხოვს. განათლების ეროვნული კავშირი და მასწავლებელთა თავისუფალი პროფესიული კავშირი უკვე გამოვიდა სოციალური ფორუმის გამართვის ინიციატივით, სადაც განხილული იქნებოდა საქართველოში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მდგომარეობა არსებული შრომის ბაზრისა და სოციალ-ეკონომიკური ნორმატივების პირობებში.

სოციალური ფორუმი მიიღება ადამიანის უფლებების სოციალურ კონცეფციას, როგორც მოქმედი საბაზრო ფუნდამენტალიზმის ბაზაზე აგებული სოციალურ-შრომითი ნორმატიული აქტების ჰუმანურ ალტერნატივას. სოციალური ფორუმი გამოკვეთდა იმ პროფკავშირულ და არასამთავრობო ორგანოებს, რომლებიც მზად არიან რადიკალური სოციალური ოპონირება გაუწიონ საბაზრო ფუნდამენტალიზმის ცენტრალურ დოგმებს „ბაზარი ღმერთია“ და „ადამიანი – ბაზრისთვის“. საბაზრო ფუნდამენტალიზმის ადეპტთა მხრიდან, რა თქმა უნდა, იქნება ბრალდება „ანტიმედასავლეთობაში“. მაგრამ „ვაიმედებასავლეთეებს“ შეიძლება კარგად ეპასუხოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 1992 წლის 12 მაისის ღია წერილით საქართველოს ტელევიზიისადმი: „ზოგიერთს დასავლური ორიენტაცია ჰგონია დასავლეთის პორნოგრაფიული და სადისტური ფილმების კულტი, განგსტერების „პერიოკა“, დასავლური მოდების წამხედურება, დასავლეთის წინაშე ხელგაშეკრული დგომა უცხოური კრედიტების მოლოდინში, საეჭვო პოლიტიკური გარიგებები ზოგიერთ პოლიტიკურ ავანტიურისტებთან, მათი მოწვევა საქართველოში, საქართველოს ბუნებრივ და წიაღისეულ სიმდიდრეთა, კურორტების, პორტების და საწარმოო ობიექტების მიყიდვა დასავლეთისათვის და სხვა. აი, ასეთ „დასავლურ“ ორიენტაციას ვგმობთ ჩვენ...“ (გამოცემა „ქართული აზრი“, 1992 წლის 1 ივლისი, №24).

